ივნისი
1930 წ.
№ 54

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante
Revue mensuelle
JUIN
1930—№ 54

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

მინაარსი:

მეთაური—ინტერნაც. და ეროვნებათა საკითხი.
კარლო ჩხეიძე.
ვარდანი—ძველი და ახალი, ორივ ერთია.
—ლი—გ.—საქართველო ციფრებით.
ვიკ. ნოდარაძე—საქართვ. გეოპოლიტიკისათვის.
საჭირბოროტო საკითხი.
ვლასა მგელაძე—ქართველი ერის სული.
«დნი» და ეროვნული საკითხი.
26 მაისი—პარიზში და ბერლინში.
საბჭოთა რუსეთში და სხვ.

ინტერნაციონალი და ეროვნებათა საკითხი

სოციალისტური ინტერვენცია—აი რა მოახდინა ინტერნაციონალმა საბჭოთა კავშირის საქმეებში! ჩვენ ვიცით, როგორ დაუზარებლათ ებრძოდა და ებრძვის ინტერნაციონალი, მაგ., სამხედრო ინტერვენციას; ეს გასაგებია, მაგრამ არ იყო მთლათ გასაგები, რატომ გაურბოდა ის იდეურ ინტერვენციას. ინტერნაციონალს არა ერთხელ დაუგმია საჯაროთ ბოლშევიკური ტეროორი და «სოციალისტური» ექსპერიმენტები, ამაში ის არ იჩენდა სიძუნწეს, მხოლოდ, როცა საქმე საბჭოთა მშრომელ მასებისადმი უშუალო მიმართვაზე მიდგებოდა, ის სისტემატიურათ თავს იკავებდა, თითქო ეს, მზგავსათ მთავრობათა, მას საბჭოთა შინაურ საქმეებში ჩარევად ეჩვენებოდა. რა თქმა უნდა, ბოლშევიკები ასეთ სიფაქიზეს არ იჩენდენ, პირიქით. მთელი მათი მუშაობა მიმართული იყო და არის სწორეთ სხვათა შინაურ საქმეების აფორიაქებისაკენ.

ინტერნაციონალის ეგზეკუტივის მოწოდება კავშირის მუშებისადმი, გასულ მაისს ბერლინიდან, ერთგვარი უარყოფაა აქამომდე გაბატონებულ პრაქტიკისა, და ამით უკვე აღიარებულია ისიც, რომ საბჭოთა რეჟიმი კატასტროფის წინა სდგას. ასეთ ისტორიულ მომენტში არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეგზეკუტივი, გარდა მუშებისა, ჩაგრულ ერთა სვებედსაც შეეხო. ესეც მეორე უებარი საბუთი, რომ ეროვნული საკითხი ერთ უმთავრეს მამოძრავებელ ღერძად ქცეულა საბჭოთა კავშირში.

რას გვეუბნება ეგზეკუტივი? ახალს არაფერს, პირველ შეხედვით. ის აღიარებს საბჭოთა კავშირში მოქცეულ ერთა თვითგამორკვევის უფლებას. პრინციპი თვითგამორკვევისა არ ახალია, უეჭველათ, ამას თვითონვე ამბობს ეგზეკუტივის რეზოლიუცია, მაგრამ მისი პრაქტიკულათ გამოყენება კავშირის ერთა სასარგებლოთ პირველათ ხდება—აი რაა ღირსშესანიშნავი.

მერმე რა დროს? როცა რუსის მთელი ემიგრაცია გაშმაგებით ებრძვის არარუს ერთა განმათავისუფლებელ მისწრაფებებს! რასაკვირველია, ნუანსები აქაცაა, როგორც მაგალითათ: რუსის მენშევიკები და ნაწილი ესერებისა სცნობენ სიტყვით პრინციპს, ხოლო საქმით ებრძვიან მას. ან კიდევ მეორე ნუანსი, თითქმის გაბატონებული: დიახ, არარუს ერებს აქვთ უფლება თვითგამორკვევისა, მაგრამ აუცილებელია რუსის ერსაც ვკითხოთ, სურს თუ არა მას მათი გაშვებაო. ესე იგი, ბატონის დაუკითხავათ ყმა ვერ განთავისუფლდებაო!

ეგზეკუტივი გადაჭრით უარყოფს ამ ბატონყმურ მეთოდს. თვითგამორკვევის უფლებას ის სცნობს მხოლოდ და მარტო დაინტერესებულ, ან უკეთ ჩაგრულ, და არა მჩაგვრელ ერთათვის. რომ არავითარ გაუგებრობას არ ჰქონდეს ადგილი, ეგზეკუტივი ადგენს, ჩაგრულმა ერმა თვითონ უნდა გადასწყვიტოს სუვერენულათ, სურს მას ფედერაციაში დარჩენა თუ დამოუკიდებელი არსებობაო. ეგზეკუტივი არ ამბობს, რას ემხრობა თვითონ ის—ფედერაციას თუ დამოუკიდებლობას—, ეს თვით ჩაგრულ ერთა თავისუფლათ გამოთქმულ სურვილისაგან (პლებისციტი) არის დამოკიდებულიო.

ამ რიგათ, ყოველი ორჭოფობა უკუგდებულია. ინტერნაციონალისათვის საბჭოთა კავშირი არ წარმოადგენს ძველებურ «მთლიან და განუყოფელ რუსეთს», არამედ მრავალ-ერიან კონგლომერატს, რომელიც შეიძლება დანაწილდეს თავთავის ეროვნულ სახლვრებში, და ამით «მეორეთ მოსვლას» არ უნდა ველოდეთ, როგორც რუსები...

არის გამონაკლისი საერთო წესიდან—ეს საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველო და მისი ერი. უკანასკნელმა გაიარა თვითგამორკვევის ეტაპი, მისმა დამფუძნებელმა კრებამ დიდის ზეიმით დაამტკიცა 26 მაისის აქტი, აქვს დაწერილი კონსტიტუცია, ცნობილია მრავალ სახელმწიფოთა მიერ და მისი სრულუფლებიანი საელჩოც რეგულიარულათ მოქმედებს ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოს დედა-ქალაქში.

ინტერნაციონალიც სწორეთ ასე უყურებს საქართველოს საკითხს, მისმა კონგრესებმა არა ერთხელ მოითხოვეს საქართველოს დაცლა საოკუპაციო ჯარებისაგან, არა ერთხელ დაჰგმეს სასტიკათ მოსკოვის ძალმომრეობა ქართველ ერის მიმართ. არის ერთი საიუბილეო მანიფესტიც, მის მიერ გამოშვებული, სადაც ნათქვამია: ძველი ინტერნაციონალის დროშაზედ პოლონეთი ეწერა, ახალი ინტერნაციონალის დროშაზედ საქართველო სწერიაო.

აქედან სრულიად ბუნებრივი და კანონიერი იყო ჩვენი მოლოდინი, რომ იმ არაჩვეულებრივ მომენტში, როცა კავშირის მუშებს მიმართავს მოწოდებით, ეგზეკუტივი ხაზგასმით აღნიშნავდა რეზოლიუციაში საქართველოს განსაკუთრებულ მდგომარეობას. მაგრამ ეს არ მოხდა, სამწუხაროთ, თუმცა ამით, თავის თავათ მისახვედრია, წინეთ მიღებულნი დადგენილებანი საქართველოს სასარგებლოთ არ უქმდებიან ფორმალურათ.

ეგზეკუტივი არ სჯერდება მარტო პრინციპის აღიარებას, ის ტაქტიკურ დირექტივებსაც აძლევს კავშირში მოქცეულ სოციალისტურ პარტიებს, როგორიცაა: გარეშე ძალებს არ დაეყრდნონ, შიგნითაც კონტრ-რევოლიუციურ ძალებს არ დაუკავშირდენ და სხ.

მაგრამ რაც გასაკვირია, ეს ის, რომ ეგზეკუტივი კიდევ ვერ განთავისუფლებულა რომანტიზმისაგან და ბოლშევიკურ ვაკხანალიას რევოლიუციად სთვლის! თქვენი რევოლიუცია უნდა ვიხსნათო—ეუბნება მისი მოწოდება კავშირის მუშებს. აქედან განსაკუთრებული დირექტივიც ჩაგრულ ერთა სოციალისტურ პარტიებს: თქვენ უნდა ეცადოთ, რუსის სოციალისტურ პარტიებთან ერთათ, დღევანდელი ტეროორისტული რეჟიმი, მშვიდობიანი გზით, დემოკრატიულ რეჟიმად გარდაქმნათო.

ამ რიგათ, ეგზეკუტივი ითვისებს რუსის მენშევიკების ტაქტიკას: შორს რევოლიუციური მეთოდები! შორს ბოლშევიზმის ძალათ დამხობა!—ეს ხომ კონტრ-რევოლიუცია არისო!

აქედან ერთი უმნიშვნელოვანესი დასკვნაც, რომელსაც ეგზეკუტივი აკეთებს ჩაგრულ ერთა შესახებ: «მხოლოდ დემოკრატიისა და მშვიდობიანობის ატმოსფერაში შეუძლიათ ამ ერებს ფაქტიურათ, უომრათ, უკონტრ-რევოლიუციოთ განახორციელონ თვითგამორკვევის უფლება, რომელსაც ინტერნაციონალი გადაჭრით აღიარებს მათთვისო». ესე იგი, უნდა იცადონ, სანამ დემოკრატია არ დამკვიდრდება!

გამოდის, ეგზეკუტივი თითქო წარსულისკენ გვახედებს, ცარისტულ რეჟიმისკენ: ჯერ დემოკრატია, შემდეგ ეროვნული თავისუფლებაო, და არ ფიქრობს, რომ ერთიცა და მეორეც მხოლოდ რეჟიმის დამსხვრევის პროცესიდან შეიძლება გამოტყორდეს. აქ კი ვეტოა დადებული, როგორც დავინახეთ, არა დამსხვრევით, არა რევოლიუციით, არამედ ევოლიუციითო. ეგზეკუტივი ვერ ხედავს, რომ ის, რაც რუსებისთვის დემოკრატიაა, არარუსებისთვის ეროვნული თავისუფლებაა, რაიცა, ჩვენი კონსტიტუციით, იგივე დემოკრატიული რესპუბლიკაა.

მერე არიან რუსის სოციალისტები მზათ იცნონ წინასწარ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა? არა! ისინი რევოლიუციურ მეთოდებსაც უკუაგდებენ. მაშ როგორ გნებავთ შეუთანხმდენ მათ ჩვენი სოციალისტები, რომელთა არც სადღეისო მიზანს და არც საშუალებას ისინი არ სცნობენ? ან შეიძლება მაშინ დაგვრთოს რუსის დემოკრატიამ ნება გამოვეყოთ, როცა ხელისუფლებას დაეპატრონება? დღეს არაფერი აქვთ ხელთ და უარს გვეუბნებიან, სადაა გარანტია, რომ გაბატონებისას დაგვითმობენ?

მაგრამ განა ვინ სთქვა, ან უკეთ—ვინ დაამტკიცა, რომ ბოლშევიზმს უთუოთ დემოკრატია მოჰყვება? ერთად ერთი საშუალება, რომ რამდენათმე მაინც გამხდარიყო ეს შესაძლებელი—რევოლიუციური ბრძოლა—, გადაჭრით უარყოფილია.

რაღა გავაგრძელოთ, ეგზეკუტივი გვიბადებს მთელ რიგს კითხვებისას და თვითონ არც ერთზე არ უპასუხებს. ის შიშობს, რომ რევოლიუცია შეიარაღებულ ჩარევას გამოიწვევს გარედან და ეს კი ახალი ომის დასაწყისი იქნებაო.

ნუ დაივიწყებთ, ინტერნაციონალი ის არაა დღეს, რაც წინეთ იყო; მასში მონაწილეობენ საკუთარ ქვეყნების მართველი პარტიებიც. გუშინ ეს გერმანიის სოციალდემოკრატია იყო, დღეს ინგლისის მუშათა პარტიაა, არ ვიხებით პატარა ერთა სოციალისტურ პარტიებს. ეგზეკუტივის სხდომებზედ ბერლინში ტრავაისტთა მთავრობის სული ტრიალებდა, და ჩვენ ვიცით, როგორია ეს მოსკოვის მიმართ...

მაშ ნუ გაგვიკვირდება ინტერნაციონალის ბორძიკი და აზრთა წინააღმდეგობა. ისიც საკმარისია, რომ ის ჩაერია საბჭოთა საქმეებში, გადისროლა თავისუფლების ლოზუნგები, იცნო ჩაგრულ ერთა უფლება, და რა ნაყოფი გამოვა აქედან, მასზე როდია დამოკიდებული. საბჭოთა ტირანიის დამხობა მოხდება იმავე წესით, როგორც სხვა ტირანიების—რევოლიუციური წესით, და ამას ისარგებლებენ როგორც მშრომელნი, ისე ერნი.

ინტერნაციონალი იძულებული გახდება პირველ ჩარევას მეორე და მესამე მიაყოლოს, უფრო სწორი, დროის შესაფერი და მკვეთრი. და ვინაიდან მისი გავლენა საერთაშორისო ასპარეზზედ უფრო და უფრო იზრდება, ჩვენი სოციალისტური პარტიები უნდა ცდილობდენ ეს გავლენა საქართველოსაც მოახმარონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო ჩხეიძე

ოთხი წელიწადი შესრულდა, რაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულმა ქართველმა ერმა დაკარგა თავისუფლების შეუპოვარი რაინდი, მებრძოლთა რაზმების გამოცდილი გამწრთვნელი და პოლიტიკური ბრძოლის იშვიათი ტრიბუნი—კარლო ჩხეიძე.

დაუქმდა გამოცდილებითა და დაკვირვებით სავსე გამჭრიახი ჭკუა-გონება.

დაიხუჭენ თვალები, ბრძოლის ცეცხლს რომ აფრქვევდენ.

დადუმდა მკვეთრი ენა, მტრის გულს რომ სასიკვდილო მახვილივით ხვდებოდა.

მაგრამ მებრძოლ მამულიშვილის აჩრდილი და მტკიცე, ვით ნაწრთობი ფოლადი, სული დღესაც თავს დასტრიალებს განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაბმულ თავგანწირულ არწივებს და წამ და უწუმ ჩასჩურჩულებს ყურში თავის უკანასკნელ ანდერძს: «საქმეს მოუარეთ!»

ქართველო, ქუდი მოიხადე ამ დიდი ბელადის გახსენებაზე და გულის სიღრმეში ჩაიმარხე შეურყეველ იმედით აღსავსე მისი სიტყვები, სისხლში ამოვლებულმა მისმა კალამმა უკანასკნელათ რომ ამოქარგა:

«მტერი მიმხვდარია, რომ ქართველი ხალხის სამუდამოთ დამორჩილება შეუძლებელია; რომ ხალხის ძალა ბრძოლისთვის დაუშრეტელია; რომ საქართველო დაბოლოსაც არი უნდა გახდეს თავისუფალი და დამოუკიდებელი»...

ძველი და ახალი, ორივ ერთნაირი

არც ისე ძველი ამბავია! ბევრს თვითონ ახსოვს ალბათ...

წარსული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში რუსეთის მთავრობას განსაკუთრებული ძლიერი იერიშები მიჰქონდა ქართული ენის წინააღმდეგ. ქართულ ენას დაუწყეს ბრძოლა, იგი განდევნეს სასწავლებლიდან, იგი იდევნებოდა ეკლესიიდან. ქართველმა საზოგადოებამ დიდი ბრძოლა გადაიხადა ასეთი გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ. ეს ეროვნული ბრძოლა ქართული ენის დაცვისათვის დიდ რევოლიუციამდე არ შეწყვეტილა. მაგრამ აქ ეროვნული ომის ისტორიას არ მოგახსენებთ, თუმცა იგი მეტად საინტერესო, ძვირფასი და სასახელოა. რუსეთის მთავრობის მიერ წარმოებული გამარუსებელი პოლიტიკა, მეორე მხრივ არის კიდევ საყურადღებო. იგი ებრძოდა ქართულ ენას სკოლაში და ეკლესიაში და მმართველობაში, მაგრამ ამას გარდა იგი ებრძოდა ქართულ ენას სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთში და აჭარაში.

საერთოდ «მე-70 წლების მიწურულში იმდენად მოიმაგრა ჩვენს საზოგადოებაში ფესვები რუსიფიკაციამ და სწავლის საქმე ამ მხრივ იმდენად გაუარესდა, რომ «ივერია» *) შენატროდა იმ წესებს, ოროომელნიც ათი წლის წინედ იყო ქართულ სკოლებში»...

ამ რუსული პოლიტიკის გამტარებელი იყო იანოვსკი, რომელსაც 1880 წ. სერგი მესხი სწერდა: «ქართველების სურვილი იგივეა, რაც ყველა ხალხების: სჯული და სარწმუნეობა. თქვენი სურვილი-კი დაავიწყოთ ქართველებს ქართული ენა»... ქართული ენის მოსპობასთან დაკავშირებული იყო სამეგრელოს და აფხაზეთის ქართველებისაგან ჩამოშორება, რასაც ზოგი ადგილობრივი მკვიდრიც ხელს უწყობდა. 1881 წელს ახალსენაკის «დეპუტატებმა» გაზეთ «კავკაზში» მოათავსეს წერილი, სადაც ამტკიცებდენ, რომ მეგრელები თხოულობენ მათ შვილებს რუსულა ენა ასწავლონ სკოლაში მიღების პირველ დღიდანვეო. ეს იყო რუსული პოლიტიკის გამტარებელთა და რუსეთის მთავრობის აგენტთა მუშაობა. სამოსწავლო დირეკტორმა ლევიცკიმ სკოლებში მუნჯური მეთოდი შემოიღო, ესე იგი რუსულ ენას ასწავლიდენ სკოლებში რუსულისავე ენით, ქართული ენა ბავშს არ უნდა გაეგონა. 1885 წელს ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირეკტორმა გამოსცა განკარგულება სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის აკრძალვის შესახებ. «ცირკულიარი ეყრდნობოდა 1881 წლის სამოსწავლო გეგმას, რომლის მიხედვით რუსული ენის სწავლება უნდა წარმოებულიყო ადგილობრივ ენის საშვალებით. ცირკულიარი ამტკიცებდა, რომ სამეგრელოში ადგილობრივი ენა არის მეგრული და რუსული ენის სწავლებაც, თუ ის არ იწარმოებს მუნჯური მეთოდით, უნდა სწარმოებდეს მეგრული ენის საშვალებითო. ამასთანავე ქართული ენის მაგიერ უნდა ისწავლებოდეს მეგრული ენა, ქართულ ენას ადგილი არ უნდა ექნეს შეგრულ სკოლებშიო. მეგრულ ენისათვის შეიძლება შემოღებულ იქნეს რუსული ანბანიო».

რუსეთის თვითმპყრობელობის აგენტები ჰქადაგებდენ, რომ მეგრელები ცალკე ერი, სხვა ერი არის, მათ უნდა ჰქონდეს თავისი მწერლობა, თავის საკუთარ მეგრულ ენაზე წირვალოცვა, მაგრამ ვინაიდან ცალკე მეგრული ანბანი არ არსებობს, ამიტომ «დაეხმარენ» მეგრელებს და რუსული ასოებით მეგრული ანბანი შეადგინეს. მეგრული ანბანის პირველი შემადგენელი იყო ცნობილი აფერისტი და ჟულიკი ამორდია. მან მთავრობის დავალებით 1881 წელს რუსული ანბანით მეგრული ანბანი გააკეთა. 1892 წელს ლევიცკიმ შეადგინა სახელმძღვანელო, რომელშიაც რუსული ტექსტი მეგრულად იყო ნათარგმნი ამორდიას ანბანებით. ამ საქმეს მიეშველა სამეცნიეროაკადემიაც, რომელმაც მთავრობის დავალებით მეგრული ანბანი გამოიმუშავა, და ეს ანბანი იგივე რუსუ-

*) ილია ჭავჭავაძის ორგანო.

ლი იყო. ამ ახალ ანბანზე გადასთარგმნეს ზოგიერთი ლოცვები,

1893 წელს მზრუნველი სწერდა ეგზარხოსს:—როდესაც სამეგრელოს, სვანეთის და აფხაზეთის სკოლებში სლავიანურ ლოცვებს ასწავლიან, სიტყვები უნდა გადაუთარგმნონ მეგრულად, სვანურად და აფხაზურადო. 1904 წელს დეკ. ვოსტორგოვმა საერთოთ სამრევლო სკოლებში აკრძალა ქართული.

აღშფოთდა მთელი მოაზროვნე საქართველო, ჯერ კიდევ ადრე, 1885 წელში, მაშვინ ქუთაისის გუბ. თავადაზნაურთა წინამძღოლი დიმიტრი ყიფიანი სწერდა მთავარ მართებელს დუნდუკ-კარსაკოვს: «... მოციქულთა დროიდან ქართული ენა იყო საეკლესიო და კულტურული ენა. ამ ჟამად იქ ახალ კულტურას ჰნერგავენ—მეგრულ ენას ასწავლიან სხვა ანბანის საშვალებით. ასე რომ გავყვეთ, შეიძლება შეიქნას ახალი კულტურები აჭარლების, ფშავ-ხევსურებისა, ინგილოებისა, მთიულეთისა და სხვათათვის»...

ქართული პრესა და საზოგადოება ყალყზე იდგა, ბრძოლა გადაიტანეს რუსულ პრესაშიც. ეს ბრძოლა გაგრძელდა წლობით, სანამ 1905 წლის რევოლიუციამ არ იფეთქა...

არც მერე გამოსწორებულა საქმე სათანადოთ...

რა მიზანი ჰქონდა რუსეთის თვითმპყრობელობას?—ერთად ერთი მიზანი:—დაექსაქსა ქართველი ერი, გადაეგვარებია და მოესპო იგი. თვითმპყრობელობამ ეს ვერ შესძლო, ძველმა რუსეთმა თავის საწადელს ვერ მიახწია. ქართული საზოგადოება შეგნებულად და შეუდრეკელად ებრძოდა ამ გამარუსებელ პოლიტიკას, რომელიც საბოლოოდ დამარცხდა, მაგრამ არა სამუდამოთ. ძველი რუსეთის პოლიტიკის გამგრძელებელი და გამტარებელი ახალი წითელი რუსეთია. იანოვსკის, ლევიცკის, ვოსტორგოვის გზაზე ეხლა ბოლშევიკები არიან შემდგარი. მათ აღადგინეს ძველი პოლიტიკა, გააფართოვეს და გააღრმავეს იგი.

სამწუხაროთ, არ ვიცით, თუ როგორი ბრძოლა განიცადა ამ პოლიტიკამ, რაგვარ პირობებშია დღეს ქართული ენა აჭარაში, სვანეთში, აფხაზეთში, სამეგრელოში. გამიგია, რომ კომუნისტურმა ერთმა ჯგუფმა ამ ერთი-ორი წლის წინად, მოინდომა ქართული ენის გაძევება სამეგრელოდან. რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ვითომ ებრძოდა ამას; რომ აღნიშნულ კომუნისტურმა ჯგუფმა ტფილისს მოსკოვში უჩივლა და ქართველ კომუნისტებს «იმპერიალისტობა» დასწამა. რა პასუხი მისცა მოსკოვმა, არ ვიცით. ვიცით, მხოლოდ ერთი ფაქტი, რომელიც გაზეთ «კომუნისტში» ამოვიკითხეთ. და ეს არის შემდეგი:

სალამი «ყაზახიში გაზეთს»
ზუგდიდი
«ყაზახიში გაზეთის რედაქციას!

სალამი მეგრულ ენაზე პირველ ბეჭდვითი ორგანოს, რომელიც ძალუმად ხელს შეუწყობს მეგრულ ენაზე მოუბარ მუშებისა და გლეხების სწრაფი ტემპით სოციალისტურ მშენებლობას, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას და მუდამ მოაგონებს მშრომელთ იყონ ფხიზლად და მზათ მუშურ-გლეხური საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად შინაურ და გარეშე კაპიტალისტური და კულაკური ელემენტების ვერაგი და მტრული, ფარული ან აშკარა შემოტევისაგან.

კიდევ სალამი და ამ გზაზე გამარჯვება «ყაზახიში გაზეთს».

მიხა ცხაკაია.

იმას, რასაც ვერ მიაღწია ძველმა რუსეთმა, თითქოს ახორციელებს კომუნისტური რუსეთი. ძველი რუსეთის მიზანი იყო მეგრელების გამოცალკევება და მერე მათი გათქვეფა რუსულ ოკეანეში, თვითმპყრობელ მეფისა, მართლმადიდებლობისა და დიდი რუსეთის გულისათვის, ახალი წითელი რუსეთის მიზანია მეგრელების გამოცალკევება, ქართველი ერის დაქსაქსვა—დაქუცმაცება თავისი უტოპიური «საქმისათვის». ძველი ად ახალი ორივ ერთნაირია.

ბ. ვარდანი.

საქართველო ციფრებით

(ცდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ მეურნეობის მიმოხილვისა)

(გაგრძელება)

16.

იმ სამრეწველო მცენარეთა შორის, რომელთა კულტურა დიდს ყურადღებას უნდა იწვევდეს ჩვენში—ბამბის მოყვანა არის.

ომის წინ ბამბის ნათესობას დათმობილი ქონდა საქართველოში 12.000 დესეტ. და მისი მოსავალი 152.000 ფუთს უდრიდა. აქედან საზღვარ გარეთ (მოსკოვსა და ლოძში) 80.000 ფუთი გადიოდა. თითო ფუთის ღირებულობა 12 მანეთი იყო, ასე რომ ამ ექსპორტის ღირებულობა 960.000 მან. უდრიდა (დ. აფხაზი).

1928-29 წლებში ის ფართობი, სადაც ჩვენში ბამბა მოყავდათ 8951 ჰექტარამდე (8193 დესეტ.) ჩამოვიდა და მაზრობრივად ასე იყო იგი დანაწილებული (იხ. ხოზ. ზაკავკ. გვ. 96):

მაზრა	დესეტინები
ბორჩალოს	3000
ქუთაისის	1639
ტფილისის	1296
აფხაზეთში	1115
სიღნაღის	537
შორაპნის	234
ზუგდიდის	191
სენაკის	181

ამ დანაწილების შესახებ იგივე უნდა გავიმეოროთ, რაც თამბაქოს შესახებაც ვსთქვით: საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს ნიადაგი და ჰავა გაცილებით მეტ შესაძლებლობას იძლევა, რომ ბამბის ნათესების ფართობი გადიდებული იყოს და თანაც ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებიც იყოს ჩაბმული ამ კულტურაში. რათა მოსახლეობის უფრო დიდმა ნაწილმა მიიღოს მონაწილეობა ამ შემოსავლიან მცენარის გაჩენაში.

რომ ეს დებულება სწორია, ამას ის ხუთ-წლიანი სასოფლო მეურნეობის გეგმაც გვიჩვენებს, რომელიც ამას წინად იყო გამოქვეყნებული ტფილისის პერიოდულს გამოცემებში.

ამ გეგმის თქმით, გამორკვეულია, «რომ ხუთი წლის ბოლოს ახალი არხების გაყვანისა და ბორჩალოს რაიონში არსებული სარწყავი სისტემის რეკონსტრუქციის საშუალებით მიღებული იქნება 48 ათასამდე ჰექტარი სარწყავი მიწები; ეს რაოდნობა მებამბეობის ცალკე რაიონების შორის ნაწილდება შემდეგნაირად: ბორჩალოში 10.000 ჰექტ., ყარაიაში 20.000, ალაზნის ველზე 7.000 და ელდარში 11.000 ჰექტარი. ამ სივრციდან მიმდინარე ხუთ წლედში ბამბის დასათესად შეიძლება გამოყენებულ იქმნეს 30000 ჰექტარი მიწა.»

ასეთია მათი გეგმა. შესძლებენ ამის ასრულებას თუ არა, ამას ახლო მომმავალი გვიჩვენებს. ჩვენთვის კი ეს გეგმა იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც იგი იმ საპერსპექტივო გზას გვიჩვენებს, რომელსაც უნდა დაადგეს მომავალში ჩვენებური მებამბეობა.

მაგრამ ცარიელ ფართობის გაზრდა-გაწევა არ მოასწავებს კიდევ მებამბეობის აყვავებას. უკანასკნელისათვის სულ პირველად საჭიროა რაციონალური მეურნეობა და მეცნიერულ აგრიკულტურის მოხმარება. ამ მხრივ კი, ბამბის კულტურაშიც, საუბედუროთ, იგივე ჩამორჩენაა, რაც სხვა დარგშიც გვხვდება. აი მცირე ნიმუში ამ ჩამორჩენისა:

მოსავალი ერთს ჰექტარზედ (კილოგრამებით)

1928 წელს	საქართველო	386.
	უზბეკსტანი	980.
1929 წელს	საქართველო	399.
	უზბეკსტანი	1030.
1930 წელს (განზრახულია)	საქართველო	630.
	უზბეკსტანი	1150.

ხუთწლედის გეგმით ნავარაუდევი აქვთ, ხუთის წლის ბოლოს, ეს მოსავალი საქართველოში 850 კილომდე მაინც აიყვანონ. მართლა მოვა თუ არა ამოდენა მოსავალი და რა ზომებს ღებულობენ, რომ იგი გამართლდეს, ამას თავის დროზედ დავინახავთ. და თუ ეს მხოლოდ ნატვრაა, უნდა ითქვას, რომ ლენინის მოწაფენი ვერც ნატვრაში ყოფილან, მაინც და მაინც, მახვილნი. აი მაგალითად ჩრდ. ამერ. შტატები,—იქ ეს მოსავალი 1924 წელს, თითო ჰექტარზედ, 1800 კილოგრამს უდრიდა.

რა შორს არის ეს მაზედ, რაც ჩვენშია ამჟამად!

რაკი სიტყვამ მოიტანა საჭიროდ მიგვაჩნია «ხუთწლედის» გამო პატარა რამ მოსაზრება გავაკეთოთ.

თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ არ გვჯერა, რომ ბოლშევიკურმა მთავრობამ შესძლოს ამ გეგმის შესრულება. სულ პირველად თვით გეგმას გენერალური გადაშინჯვა სჭირია, რომ იგი ჭკუა დამჯდარ ხალხის საქმიანობას ემსგზავსებოდეს და არა «კომსომოლიდან» გამოსულ ზოგიერთა პროლეტარულ პოეტების აბდა-უბდა ფანტასტიკას და ბოდვას. მეორეც,—ეს გეგმა თავიდან ბოლომდე უსრულესი ქმნილებაც რომ იყოს, მის განსახორციელებლად საჭიროა დიდი წინასწარი სამზადისი; საჭიროა და მომზადებულ სპეციალისტების ყოლასთან ერთად, მოსახლეობაში მატერიალური და კულტურული შესაძლებლობის დაგროვება და რაც ყველაზე უფრო საჭიროა: მთავრობა, რომელსაც მთლად მოსახლეობისათვის შესტკივა გული და არა მხოლოდ საკუთარ პარტიისთვის, და მოქალაქენი, რომელთაც ნდობა აქვთ თავისი ეროვნული მთავრობისა. საუბედუროთ, საქართველოში არც ერთი აქ ჩამოთვლილი პირობა აღარ არსებობს. რაც იყო, ის შთანთქეს ბოლშევიკებმა და რაც გასაკეთებელი იყო, მის მოგვარებას ვერაგულის თავზედ დაცემით და საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობით, ხელი შეუშალეს!

მიუხედავად ყველა ამისა «ხუთწლედის» გეგმას ჩვენ გვერდს ვერ აუხვევთ. ამ გეგმაში ბევრი რამ არის ჩვენთვის საყურადღებო. ნუ დავივიწყებთ, რომ მანამ სანამ იგი გეგმა თავის უკანასკნელ სახეს მიიღებდა, წინასწარი მუშაობა ხდებოდა ჩვენში მომუშავე ყოველგვარ სპეციალისტებისა. მათი საქმიანობა და ამ საქმის სიყვარულით დახარჯული ენერგია შეუძლებელია უშედეგოთ დარჩეს და აი ყველა ის, რაც ამ დამუშავების უნარს და გეგმით ნაწარმოებ კვლევა-ძიებას შეადგენს, ყველა ეს ძვირფასი მიღწევაა, რომლის გამოყენება საქართველოს საკეთილდღეოთ შესაძლებელიც არის და სავალდებულოც. რა იმათი ბრალია, თუ ის საერთო ჯამი, რომელსაც «ხუთწლედი» ჰქვია, დამახინჯებაა მათი ნამუშევარის, მათი აზრის. ეს საჯარო დამახინჯება მხოლოდ იმას გვაგონებს, რომ მეტის მუყაითობით და მეტის სიფრთხილით ვეძიოთ გეგმაში ის, რაც მის საფუძველს შეადგენს და რაც სწორეთ იმ სპეციალისტების მიერ არის დაგროვილი, რომელნიც, მათდა სასახელოთ, ასეთის ერთგულობით და თავგანწირვით მუშაობენ, ხშირად აუტანელს პირობებში.

როგორც ერთი მაგალითი სპეციალისტების საღი აზრის დამახინჯებისა, ეს ის «კოლხოზებია», რომელმაც ამოდენა მითქმა-მოთქმა გამოიწვია. კოლექტიურ მეურნეობის იდეის შექმნაში კომუნისტებს, რასაკვირველია, არავითარი დამსახურება არ მიუძღვით. ამისთანა დაჯგუფებების აუცილებლობა და საჭიროება, განსაკუთრებულს პირობებში, დიდი ხანია აღიარებულია ეკონომიურ ლიტერატურაში. მართლადაც და იქ, სადაც მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობა იმ ზომამდეა დაქუცმაცებული და დანაწილებული როგორც ეს საქართველოს პირობებში ხდებოდა და ხდება, იქ რაციონალი და შემოსავლიანი სასოფლო მეურნეობა, დამყარებული მეცნიერულ აგრიკულტურაზედ, შეუძლებელი ხდება გარეშე სოფლის მეურნეთა დაჯგუფებისა. მიუხედავათ ქართული ეკონომიური ლიტერატურის სიღარიბისა, არც საქართველოსათვის არის ახალი რამ ამ უბრალო ჭეშმარიტების აღიარებაში. ჩვენ კარგად გვახსოვს ოთხმოცდაათიან წლებში რამდენიმე კრება კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგაოოე-

ბაში, სადაც ამ კითხვის შესახებ გამოვიდა ერთი ქართველი მომხსენებელი. მოხსენებამ გამოიწვია დიდათ საინტერესო და შინაარსიანი მსჯელობა. ახალი რამ არც მაშინ უთქვამს მომხსენებელს. ახალი შეიძლება ის იყო, რომ საქართველოს იმ დროინდელს პირობებში მაშინ პირველად დაისვა კითხვა სასოფლო მეურნეთა საწარმოო მიზნით დაჯგუფების საჭიროებაზედ.

მართალია, იმ დროს ამ დაჯგუფებას «კოლხოზობას» არ ვუწოდებდით; იგი მონათლული იყო ნაკლებ მყვირალა სახელით: «სოფლის მეურნეთა საწარმოო კოოპერაცია», მაგრამ ეს არ ქმნიდა არსებითს განსხვავებას. განსხვავება სხვაგან იყო და სწორედ იმაში, რომ აღიარებული იყო წინასწარ კულტურულ მუშაობის საჭიროება, რათა უმტკივნეულოდ მომხდარიყო ამისთანა კოოპერაციების შექმნა.

ჩვენი ქვეყნის სავალალოდ არც მაშინ გააჩნდა ქართველ ერს გულმტკივნელი მთავრობა, რომელიც ითავებდა ამისთანა წინასწარ კულტურულ მუშაობას და ნებას დართავდა ამგვარ საქმიანობას და არც ეხლა ყავს...

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს.

ისტორიული წყაროების გადმოცემით ვიცით, რომ ბამბის მოყვანა საქართველოში ძველთაგანვე იყო შემოღებული. აი რას გადმოგვცემს ამის შესახებ აგრონომი ერ. მ—ძე (იხ. გაზ. «კომ.»):

«ბამბას საქართველოში უხსოვარ დროიდან აშენებენ. ამას მოწმობს ვახუშტი და ყველა ძველი მწერლები და მოგზაურები. ბამბა რომ იმერეთშიც მოყავდათ, ეს ნათლად სჩანს იმავე მწერლების ნაწერებიდან და სხვათა შორის იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ელჩის მაქსიმე ქუთათელის მოხსენებიდან; ის მთავრობის მიმართ წარდგენილ 1769 წლის მოხსენებაში მოგვითხრობს, რომ იმერეთში «აბრეშუმი, ბამბა და წმინდა სელი არის იმდენი, რომ ვაჭრებს სხვა ქვეყნებშიც მიაქვთ... მატყლიდან ქსოვენ შალებს, აკეთებდენ ნაბდებს, ქუდებს და სხვა. აბრეშუმის, სელის და ბამბის ძაფებიდან ქსოვენ სხვადასხვა ქსოვილებს (დარაია, ხამი და სხ.) იკერავენ ტანისამოსათ და ხმარობენ ქვეშაგებ-ლეიბებისათვის. ბამბიდან გამზადებულ ქსოვილებს, რომელსაც «ხამის სამოსელს» უძახდენ, ხმარობდენ საცვლების, ახალუხების და სხვა ტანსაცმელისათვის. თეთრ ხამს ლურჯად ღებავდენ და ისე იკერავენ. ლურჯათ შეღებილ ხამს «ლაინი» ერქვა».

ჩვენ თვითონ გვინახავს, ჩვენ პატარაობაში, ერთი ამისთანა სამღებრო ქარხანა, ძველთაგან დარჩენილი ერთ პატარა სოფელში. ძველი კაცებისაგან გამიგონია, რომ ის სამღებრო «ჩვენი მეფეების დროიდან არისო»... დადგა შემდეგ ახალი დრო, გაჩნდა ხმელეთზედ თუ ზღვაზედ ორთქლმავალი და სხვა გაუმჯობესებული ტრანსპორტი და უცხო ქვეყნის უფრო რაციონალად მოწყობილმა მრეწველობამ ჩაკლა ჩვენში არსებული პრიმიტიული მექარხნეობა.

მართალია, ასეთი ამბავი მარტო საქართველოს არ მოსვლია; მსგავს პირობებში ბევრი სხვა ქვეყანაც გამხდარა უცხოეთის ყურმოჭრილი ყმა და ერთ დროს ესაც შეჩერებულა საკუთარი ეკონომიური ძაფების განვითარება, მაგრამ ბოლოს იქ არ შერიგებიან ამისთანა მდგომარეობას, შებრძოლებიან ახლად მოსულ დაბრკოლებებს და შემდეგში საქმე გამოუსწორებიათ...

ამ მხრივ ჩვენთვის დიდად საინტერესოა ბამბის სართავ ქარხნების ისტორიის გაცნობა ისეთ პატარა სახელმწიფოში, როგორიც ჰოლლანდიაა.

თვით ჰოლლანდიაში არ მისდევენ ბამბის თესვას, რადგან იქ არ არსებობს ამისათვის საჭირო პირობები. ბამბა ლევანტიდან, ეგვიპტედან და ამერიკიდან შემოაქვთ. ბოლო დროს კი, უმთავრესად, თავისი კოლონიებიდან დაიწყეს შემოზიდვა.

მეთვრამეტე საუკუნედან იწყობა იქ ეს ინდუსტრია (მაშინ მცხოვრებთა რიცხვი იქ გაცილებით ნაკლები იყო ვიდრე დღესაა საქართველოში). მან სამი უმთავრესი გზა გაიარა. სულ პირველად რთავდენ და ქსოვდენ «ხამს» და სწორედ იმდენს, რამდენიც შინ მოსახმარად იყო სამყოფი. რა თქმა უნდა, იმ დროს ყველა მუშაობა ხელით ხდებოდა. როგორც აღვნიშნეთ კიდეც ბამბა ჯერ უცხოეთიდან მოსდიოდათ. შემდეგში საბაჟო და სატარიფო პოლიტიკის წარმოებით შეამცირეს უცხოეთის ბამბის მოხმარება და მხოლოდ კოლონიიდან იბარებდენ მას. სწორედ ამ დროს მოხდა სართავ და საქსოვ მანქანების შემოღება, რამაც ისე გაფართოვა იქ წარმოება, რომ იწყეს ქსოვილების ექსპორტი საკუთარ კოლონიებში. აქაც სათანადო საბაჟო პოლიტიკა პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებდა ჰოლანდიელ მექარხნეთ. მაგრამ მთავრობამ მალე შენიშნა, რომ ამ საბაჟო პოლიტიკით ძლიერ გაანებივრა ადგილობრივი მრეწველები და ბამბის მთესველნი, რომელნიც აღარ ცდილობდენ ნაწარმოების გაუმჯობესობას და წარმოების თვით ღირებულობის დაკლებას. რომ ეს არა სასურველი მდგომარეობა შეცვლილიყო და თანაც გაადვილებულიყო კონკურენციის გაწევა ინგლის-საფრანგეთთან, მთავრობამ ჯერ სრულიად გაანთავისუფლა ბაჟიდან უცხო ქვეყნებიდან შემოსული ბამბა; ამით მექარხნეებს მიეცათ ღონისძიება ერთი ორად აეწიათ რაოდენობა ინდოეთში შეტანილ ქსოვილებისა, რომელიც სწორეთ ინდოელების გემოვნებაზედ კეთდებოდა. ამ პერიოდში ჯერ კიდევ არსებობდა პრივილეგიური საბაჟო პოლიტიკა თვით ქსოვილებზედ და მით მექარხნეებს ძლიერ ადვილად უხდებოდათ უცხოელ მრეწველებზედ გამარჯვება. მესამე პერიოდი მაშინ დადგა, როდესაც მთავრობამ სრულობით გაათანასწორა უცხოელ და ჰოლანდიის ქსოვილებზედ დადებული ბაჟი. მართალია ეს არ მოეწონათ შინაურ მრეწველებს, მაგრამ მთავრობა თავისას არ იშლიდა, რადგან ამნაირ გათანასწორებით მას სურდა წაექეზებინა მრეწველნი წარმოების გაუმჯობესებისათვის, რათა უცხო ქვეყნების ბაზარიც მოეძებნათ და ამნაირის ექსპორტით მეტი სარგებლობა მოეტანათ სახელმწიფოსთვის.

მთავრობის ასეთი პოლიტიკა სრულებით გამარჯვებული გამოდგა და ამ ჟამად ბამბის ქსოვილების ექსპორტი საკმაოდ დიდია, როგორც ჰოლანდიის კოლონიებისკენ, ისე უცხო სახელმწიფოებისაკენაც.

აი რა ეტაპები გაიარა ბამბის წარმოებამ: მე-18

საუკუნეში ბამბეულობის ქსოვა ჯერ კიდევ შინამრეწველობაა; მოსახლეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ჯერ კიდევ დიდძალი საქონელი შემოდის უცხოეთიდან, რაც მძიმე უღლად აწვება ეროვნულ ეკონომიკას. შემდეგს პერიოდში ქსოვა მანქანებით ხდება, მაგრამ მოსახლეობამ ჯერ კიდევ არ იცის ყველა ახალი ხერხი ბამბის მოყვანისა და ქსოვისა. სააქციონერო საზოგადოება, რომელნიც ამ საქმის სათავეში იდგა, იძულებულია იფიქროს წარმოების გაუმჯობესობისათვის.

იგი ჰოლანდიის სხვადასხვა კუთხეებში აწესებს საინსტრუქციო სკოლებს, სადაც ახალ ხელობას ასწავლიან: ფაბრიკანტების შვილებს, პასუხ-მგებელ ხელოსნებს და მუშებს. ამ ზომებმა და მთავრობის ბრძნულმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ასეთი შედეგები მოიტანა:

1908 წელს ჰოლლანდიაში უკვე 64 საქსოვი ქარხანა არსებობდა, უკანასკნელ ტექნიკურ მოთხოვნილებათა ყაიდაზედ გაშენებული, სადაც 21.565 მუშა იყო ჩაბმული. ბამბეულ ქსოვილების უცხოეთში გატანილის ღირებულობა აღემატებოდა შემოტანილს 37 მილიონ ფლორინით.

მიუხედავათ იმისა, რომ ჰოლანდიას ბამბა გარედან შემოაქვს საქსოვი მრეწველობა იქ შესაჩჩნევად არის გვითარებული. ამ მხრივ საქართველოს მდგომარეობა უკეთეს პირობებშია, რადგან ბამბა შინ მოსდის და არ მოუხდება მისი შორიდან შემოლანა. პირველ ხანებში მაინც...

ომის წინ ანგარიშობდენ, რომ ბამბის ქსოვილების ნორმა თითო სულზედ იყო 18 მეტრი. დ. აფხაზს მოყავს 1913 წლის ცნობა, საიდანაც ირკვევა, რომ იმ წელს ეს ქსოვილები შემოტანილი იყო საქართველოში სულ 290.000 ფუთი, რაც თითო მცხოვრებზე იძლევა 28,5 არშინს. ჩვენის ფიქრით ეს ნორმა ცოტა გადამეტებულათ უნდა იყოს აღიარებული. იგი დაახლოვებით 20 მეტრს უდრის და ჩვენ არა ვფიქრობთ, რომ საქართველოში არსებობდა პირობები, რომელიც სამყოფათ არ ხდიდა სხვაგან მიღებულ 18 მეტრის ნორმას. ქალაქი ტფილისი ყოველთვის განმანაწილებელ ცენტრს წარმოადგენდა და რაც ჩვენში საქონელი მოდიოდა, ნაწილობრივ გარეთაც გადიოდა, ასე რომ თითო სულზე შიგ საქართველოში ნორმა მცირდებოდა. ჯერ 18 მეტრიანი ნორმაც რომ მივიღოთ, საზღვარგარეთიდან დაგვჭირდებოდა 50 მილიონ მეტრამდე ქსოვილების დაბარება. სინამდვილესთან უფრო ახლო იქნება, თუ ვიანგარიშებთ, რომ მსყიდველობითი ძალა მოსახლეობისა ომისა და რევოლუციის დროს დაკლებულია. ამ ანგარიშით საქართველოს საკუთარი საჭიროებისათვის სჭირდება გარედან შემოტანა 27 მილიონ მეტრამდე ბამბის ქსოვილებისა.

ჩვენი სასოფლო მეურნეობა სრულ შესაძლებლობას იძლევა, ეს საჭიროება შინვე იყოს დაკმაყოფილებული, საკუთარ საფეიქრო ინდუსტრიის გაჩენით.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს საქსოვ ფაბრიკ. და მასთან დაკავშირებულ სხვა საინდუსტრიო დაწესებულებათა აგებას. საუბედუროთ ხელთ არა გვაქვს დაწვრილებითი ცნობები და ამიტომ ვერ ვიძლევით ციფრებითი მასალას. ის მასალა კი, რომელიც ამ ჟამად ხელთა გვაქვს, იწვევს შემდეგს მოსაზრებას. პროექტის განმარტებაში ერთ ალაგას ვკითხულობთ: «როგორც ვიცით, მებამბეობას სამრეწველო მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთ საქართველოს სარწყავ რაიონებში (ბორჩალო, ყარაია) და მომავალშიც განზრმხულია მისი ფართობის გადიდება იმავე რაიონებში».

ისტორიული წყაროების ჩვენებით ზემოთ დავინახეთ, რომ ჯერ მე-18 საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ბამბა იმდენი მოდიოდა, რომ ვაჭრებს საზღვარგარეთაც გაქონდათ. თუ ეს კულტურა ამ ჟამად იქ შემცირებულია, ეს არ უნდა გავხადოთ იმის საბაბათ, რომ მის აღორძინებისათვის აღარ ვიზრუნოთ.

არის კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც გვავალებს, რომ დასავლეთი საქართველო არ იყოს უყურადღებოთ დატოვებული.

ამ რამდენიმე წლის წინათ პარიზში გამოვიდა ანდრე სიგფრიდის წიგნი ამ სათაურით: «L'Angleterre d'aujurd'hui. ეს წიგნი გამოცემულია «სოციალურ მუზეის» თაოსნობით და იგი ეხება ინგლისის ეკონომიურს და პოლიტიკურ ევოლუციას. ავტორი, სხვათა შორის, ეხება ქალ. მანჩესტერს, რომელიც ლანქაშირის გულათ არის წოდებული, იმ ლანქაშირის, რომლის ოცდაათ ქალაქში ამოძრავებულია 56 მილიონი ბამბეულის საქსოვი თითისტარი და 500.000 მუშა ამ საფეიქრო ინდუსტრიაში ჩაბმული. თითქმის მთლად ინგლისის საფეიქრო ინდუსტრია სწორედ ლანქაშირშია მოქცეული.

ავტორი ეხება კითხვას, თუ რატომ აქვს ამ პროვინციას დათმობილი ეს უპირატესობა და ასეთ ახსნას იძლევა:

«ის ბუნებრივი სინოტიე, რომელიც ასე ახასიათებს ლანქაშირს და შესანიშნავად უწყობს ხელს ბამბის ძაფის ამოხვევას და ქსოვას, არის ის ერთად ერთი უპირატესობა, რომელიც ამ ადგილებისაკენ იზიდავს და ერთად თავს უყრის მთელს დედამიწის ზურგზედ ყველაზედ უფრო მძლავრ საფეიქრო ინდუსტრიას.»

ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხე დიდ განსხვავებას და მრავალ ფეროვნობას წარმოადგენს. ჩვენც უნდა მოვნახოთ ჩვენი «ლანქაშირი» და ვგონებთ, რომ იგი სწორედ დასავლეთ საქართველოში უნდა ვეძიოთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ თუ დასაწყისში საფეიქრო ინდუსტრია ჩვენში მხოლოდ შინაურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ემსახურება, შემდეგში იგი საექსპორტოთაც დაიწყებს მუშაობას—ასე ხდებოდა სხვაგანაც—და ამიტომ არის ღირსი ყურადღების ანდრე სიგფრიდის ჩვენება, რომ შესაფერი კლიმატიური პირობები შესამჩნევად უწყობს ხელს საფეიქრო ინდუსტრიის ზრდას. მაგრამ ამ კითხვის საბოლოო გადაწყვეტა უკვე სპეციალისტების საქმეა...

(გაგრძელება იქნება)

—ლი—გ.

კავკასიის გეოპოლიტიკისათვის

(ბრძოლა ნავთის გამო)

I.

«თუმცა ბევრი რამ შეიცვალა ქვეყნიერებაზედ ამ ხუთას-ექვსას წელიწადში, მაგრამ ეს ძიწის ყელი, რომელსაც კავკასიას ეძახიან, რომელიც აზიისა და ევროპის გარად ყოფილა უწინ და რომლის დაპყრობისათვის ბევრი სხვა და სხვა ხალხის სისხლი დადვრილა, ძაინც ისევ გარად დარჩა და ხალხთა მორის შუღლისა და ცილობის მიზეზად იქნება კიდეც».

ილია ჭავჭავაძე, 1879 წ. იანვარი.

1.

იმ ხანებში, როდესაც სამხრეთ რუსეთის ველებზე რუსეთის მომავალი იჭედებოდა; როცა ბოლშევიკებსა და თეთრგვარდიელთა შორის ომი სწარმოებდა, დენიკინის ჯარი მიადგა კავკასიას იმ კარებიდან, საიდანაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, აზიიდან მოწოლილი ხალხთა ტალღები ეხეთქებოდენ და გამომდინარეობდენ ხოლმე; იმ კარებში, ჩვენი ისტორია რომ დარუბანდის კარებს უწოდებს, დენიკინმა დაიწყო აზერბაიჯანისაკენ სვლა, მაგრამ დაბოლოს ამჯობინა თავისი გადაუდებელი მიზანი აზერბაიჯანის მთავრობასთან მშვიდობიანი მოლაპარაკებით შეესრულებია, თუშცა ეს მშვიდობიანი მოლაპარაკება იარაღით იყო ნაიძულები. ამ ორ მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულების მიხედვით, აზერბაიჯანის მთავრობას უნდა ეძლია დენიკინის არმიისათვის ნავთის განსაზღვრული ოდნობა, და დენიკინი კი თავის მხრივ დაპირდა მას ადერბეიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებას.

ამგვარად: აზერბაიჯანის ხალხი ნავთის განსაზღვრული ოდნობით ყიდულობდა დენიკინისაგან თავის დამოუკიდებლობის ცნობას.

მაგრამ ისტორიულ ბედისწერამ სხვა მოვლენანი გამოიწვია: დენიკინი დამარცხდა, ვრანგელის თეთრგვარდიელთა არმია განადგურებულ იქნა და ბოლშევიკური არმია მიადგა მთიელთა რესპუბლიკას, რომელიც სულ ცოტა ხნის განმავლობაში დაპყრობილ იქნა წითელი ჯარების მიერ და იქ საბჭოთა რეჟიმი დამყარებული.

და ყველაფერი ეს მოხდა წინააღმდეგ იმ პრინციპისა, რომელიც მოსკოვმა მთელს მსოფლიოს ამცნო ბრწყინვალე აღთქმითა და ზეიმით: მან გამოაცხადა თვითგამორკვევის უფლება, და მანვე ფეხქვეშ გასთელა ეს თავისი განცხადება.

2.

ბოლშევიკური მთავრობის ოფიციალური გაზეთი «ეკონომიჩესკაია ჟიზნ»-ი, რომლის ფურცელზე ალბად არა ერთი წერილი დაიწერა ხალხთა თავისუფლების შესახებ, ერთ ერთ თავის ნომერში სწერდა შემდეგს:

«ჩვენ ერთადერთი გამოსავალი გვაქვს: მთელი ჩვენი ძალღონით გავამაგროთ ჩვენი წითელი ჯარი არა მარტო ცოცხალი ძალებით, არამედ ტექნიკური ძალებითაც, რათა რაც შეიძლება მალე მოვიგოთ რუსეთისათვის დონეცის ბასეინი და კავკასია, და ჩვენი ეკონომიური არსებობისათვის ეს აუცილებელი წყაროები ჩვენ სახელმწიფოს შემოვუერთოთ».

ასე გადაწყვეტილი შეხედულება არსებობდა უკვე კავკასიის შესახებ, რომლის «შემოერთებაზე» ბოლშევიკური რუსეთი თავიდანვე ფიქრობდა. და ეს ფიქრი, და მისი შეხედულებით, მისთვის საჭირო ნედლი თუ სხვა მასალათა მიღება, თურმე ქვეყნის დაპყრობით ყოფილა აუცილებელი და არა სხვა რაიმე, ეკონომიურ თუ სავაჭრო ხელშეკრულებით.

ყოველ შემთხვევაში: მთიელთა რესპუბლიკა დაპყრობილ იქნა.

3.

ცოტა ხნის შემდეგ: იმავე ისტორიული კარებით,—დარუბანდის გზით,—ბოლშევიკური ჯარი მოადგა აზერბაიჯანის რესპუბლიკას, და მისი სატახტო ქალაქი-ბაქო 1920 წლის, აპრილის 27-ს რუსული წითელი ჯარების მიერ დაკავებულ იქნა.

გამოცხადდა აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკა, სხვათა თვალის ასახვევად და მოსატყუებლად, მოსკოვმა დაპყრობის მეორე დღესვე დასდო ხელშეკრულებანი, შეთანხმებანი ამ თავის მიერ შექმნილ ტიკინასთან. ეს, რასაკვირველია, იყო მხოლოდ თამაში, ჩადრ ჩამოფარებული პოლიტიკა, რომელიც მალე უნდა დასრულებულიყო, ესე იგი ნიღაბი უნდა ჩამოხსნილ ყოფილიყო! 1920 წლის 30 სექტემბერს სოციალისტურმა რუსეთმა და სოციალისტურმა აზერბაიჯანმა დასდვეს სამხედრო-ეკონომიური ხელშეკრულება, რომელიც შემდეგს შეიცავდა: ორივე მხარე აერთიანებდა: 1) სამხედრო ორგანიზაციებს და სამხედრო კომანდას, 2) ხელმძღვანელ ეკონომიურ ორგანიზაციებსა და საგარეო ვაჭრობას, 3) რკინისგზებსა, ფოსტასა და ფინანსებს.

ამავე დღეს მოაწერეს ხელი შეთანხმებას, რომლის მიხედვით, აზერბაიჯანის სახელმწიფო ბიუჯეტი საკანტროლოდ და დასამტკიცებლად მოსკოვის კომისართა საბჭოსათვის უნდა წარედგინათ.

უფრო საინტერესოა ამავე დღეს ხელმოწერილი შეთანხმება აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობის შესახებ. მაგრამ მე არ მომაქვს აქ ამ შეთანხმების ცალ-ცალკე მუხლები, მხოლოდ მისი დამახასიათებელია ის მოვლენა, რომ აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობაც ფაქტიურად მოსკოვის ხელში გადავიდა. აქ მოსკოვმა კატეგორიულად დაადვა ხელი ნავთს და აზერბაიჯანის ვნეშტორგს სავსებით აუკრძალა ნავთის ვაჭრობა. ასეთი იყო აზერბაიჯანის სოციალისტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ბედი, რომელიც მოსკოვის სათამაშოდ გადაიქცა.

ბაქოს დაპყრობისათანავე, ბოლშევიკებმა გამოაცხადეს ნავთიან ადგილთა ნაციონალიზაცია, და მთელი სანავთო მრეწველობა გადავიდა განსაკუთრებულ დაწესებულების ხელში, რომელსაც აზნევთი დაერქვა. პირველ ხანებში, დაიწყო დიდი კრიზისი ნავთის წარმოებაში, ნავთის ამოღება ელვის სისწრაფით დაეცა, ასე რომ ბაქოს მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და მატროსთა საბჭომ, სასწრაფო ზომების მიღებასთან ერთად, გამოუშვა მოწოდება, რომელიც მეტად საინტერესო და დამახასიათებელია:

«რამდენადაც მეტი გვაქვს საწვავი მასალა, იმდენად უფრო სწრაფი იქნება გამარჯვებისაკენ პროლეტარიატის სვლა. საბჭოთა რესპუბლიკისათვის საწვავ მასალათა მიწოდებაში ბაქო და მისი ნავთი არის განსაკუთრებული მნიშვნელობისა, ერთად ერთი თავის გვარი. დონეცის ქვანახშირთან ერთად ბაქოს ნავთი არის მოძრავი ძალა კომუნისტური მსოფლიო რევოლიუციისა. ბაქოს მუშები პასუხისმგებელნი არიან მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე ნავთის მრეწველობის ბედში, მისი წინსვლისა და დაუყონებლივი და მუდმივი მიწოდების საქმეში ამ «შავი სისხლით» საბჭოთა რესპუბლიკებისათვის... რომ ბაქოს ნავთის მრეწველობა ისევ ფეხზე დადგეს. ბაქოს მუშებმა უნდა დასჯიმონ მთელი თავისი ძალა და მთელი თავისი რევოლუციური ხელისუფლება და ენერგია. ბაქოს მუშებო! მილიონი პროლეტარები მოგჩერებიან თქვენ იმედით, მათ სჭირდებათ ნავთი, ნავთი და კიდევ ნავთი! თქვენ უნდა მისცეთ ეს მას!»

მაშასადამე, როგორც ხედავთ, მსოფლიო პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვენ აზერბაიჯანის დაპყრობას, მსოფლიო რევოლუცია მოითხოვდა აზერბაიჯანის ხალხის სისხლში ჩახჩობას. სინამდვილეში კი: მოსკოვის ინტერესები, რუსეთის ინტერესები, გაგებული და განმარტებული დამპყრობი იმპერიალისტური თვალსაზრისით.

იმის გულისათვის რომ მოსკოვს ნავთი ჰქონოდა, მოსკოვმა დაიპყრო აზერბაიჯანი; რომ მოსკოვი დამპყრობ იმპერიალისტური პოლიტიკის მწარმოებელი არ ყოფილიყო, რასაკვირველია, მას შეეძლო ნავთის მიღება სხვა გზითაც, სავაჭრო ხელშეკრულებით, მაგრამ ასეთი სამხედრო იმპერიალიზმი, რომელსაც მოსკოვი აწარმოებდა, უმჯობესად სთვლიდა თვით ნავთიან ადგილთა მეპატრონე ქვეყნის დაპყრობას.

4.

რა ცვლილება მოხდა იმ ისტორიული მოვლენით, რომ რუსეთმა ბაქო დაიკავა? აზერბაიჯანი დაიპყრო. ეს საკითხი რომ გამოვარკვიოთ, ერთი წუთით უნდა შევჩერდეთ კავკასიის გეოპოლიტიკის საკითხის შესახებ. მაგრამ სანამ კავკასიის გეოპოლიტიკაზე ვილაპარაკებდეთ, უნდა გავარკვიოთ თვით მცნება გეოპოლიტიკა.

რა არის გეოპოლიტიკა?

გეოპოლიტიკა არის მეცნიერება პოლიტიკურ ცხოვრების ფორმათა შესახებ ბუნებრივ საცხოვრებელ სივრცეში; ეს მეცნიერება სწავლობს ამ პოლიტიკურ ცხოვრების ფორმებს მიწაწყალთან გადაბმით და მათ ისტორიულ მოძრაობის მიერ შექმნილ პირობებში. გეოპოლიტიკა ირკვევს მეცნიერულად მიწაწყალთან შეზრდილ პოლიტიკური ცხოვრების სახეს, რამდენათაც იგი ისტორიულ მოვლენათა გზაზე გამოცდილებით ნაცნობია. გეოგრაფიის მიერ შექმნილი საცხოვრებელი მიწაწყალი, მხარე, აძლევს გეოპოლიტიკას იმ ჩარჩოებს, რომელთა შორის პოლიტიკურ მოვლენათა მიმდინარეობა უნდა სწარმოებდეს, თუ საბოლოოდ მისი წარმატება გადაწყვეტილია. რასაკვირველია, პოლიტიკური ცხოვრების მატარებელნი ხანდახან ამ ჩარჩოებს გადასცილდებიან, მაგრამ ადრე თუ გვიან მიწაწყალთან გადაბმულება (დაკავშირება) თავისას იქმს, მათ უკანვე დაიბრუნებს.

მოკლედ რომ ვსთქვათ, «გეოპოლიტიკა არის სწავლა პოლიტიკურ მოვლენათა მიწაწყალთან გადაბმულობის შესახებ».

მცნება «გეოპოლიტიკა» არ უნდა აგვერიოს მცნებასთან «პოლიტიკური გეოგრაფია». «პოლიტიკური გეოგრაფია არის სწავლა სახელმწიფოს გეოგრაფიული არსის და გეოგრაფიული ფორმის შესახებ, ანუ სწავლა პოლიტიკურ სივრცის ორგანიზმებზე და მათი აღნაგობის, სტრუქტურის შესახებ».

როგორი არის საქართველოს გეოპოლიტიკა კერძოდ და კავკასიის საერთოდ?

ვიკ. ნოზაძე.

საჭირბოროტო საკითხი

(ემიგრაციის საყურადღებოთ)

ჩვენი ემიგრაცია უცხოეთში თანდათან იზრდება. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან იქ, საქართველოში, არამც თუ ბოლო არ უჩანს ნივთიერ გასაჭირს და პოლიტიკურ დევნას, არამედ იგი დღითი-დღე მატულობს.

რა თქმა უნდა, ემიგრანტის მდგომარეობა არ არის სანატრელი. მისი ნივთიერი და სულიერი გასაჭირი ძალიან დიდია; მაგრამ მაინც ბედნიერათ გრძნობს თავს გამოქცეული, როცა იგი საბჭოთა კავშირის საზღვარს გადმოსცილდება და თავისუფალი ჰაერით ამოისუნთქავს. ემიგრაციის უმრავლესობა არ ერიდება არავითარ ფიზიკურ გასაჭირს და ჩვენ ვხედავთ, რომ ეს უმრავლესობა მართლაც მძიმე, მგარამ კეთილშობილი შრომით თავს ირჩენს. და რადგან შრომის მოთხოვნილება დღემდის საფრანგეთში მეტი იყო, ვინემ სხვა ქვეყნებში, აქ მოიყარა თავი ქართველი ემიგრაციის უმრავლესობამ.

ფსიქოლოგურადაც ქართველ ემიგრანტს საფრანგეთში ჩამოსვლა ურჩენია სხვაგან წასვლას, რადგან მან იცის, რომ მისი უფლებრივი მდგომარეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ უკეთესია, აქ ეგულვება მას ძველად ჩამოსული თანამემამულენი, რომელთაც უკვე იციან ადგილობრივი პირობები, წესები, ენა და ახლად ჩამოსულთ გზის გაკაფვაში მოეხმარებიან: წინა კაცი უკანასი ხიდია.

ეს გარემოება დიდ მოვალეობას აკისრებს არა მარტო ჩვენს ოფიციალურ დაწესებულებებს, არამედ მთელს ემიგრაციას ერთად აღებულს და თვითეულს ჩვენგანს კერძოთ.

ასზე მეტი ქართველი იმყოფება ამ ჟამად ოსმალეთში, რამდენიმე თვეა გედმოხვეწილი, უმუშევრად, უბინაოდ და ულუკმაპუროოთ. მათი თვალი აქეთ არის მომართული, მოუთმენლად მოელიან აქეთ წამოყვანას, უნდათ იმუშაონ და შრომით თავი ირჩინონ. მაგრამ ეს არ ხერხდება. არის ეს დაუდევრობა ჩვენი ოფიციალურ დაწესებულების? დანამდვილებით ვიცით, რომ არა. ეს რომ ასე იყოს, ძალიან სამწუხარო იქნებოდა, მაგრამ ამის გამოსწორება არ იქნებოდა ძნელი. უბედურება ისაა, რომ, პირიქით, მრავალგზით აღძრული შუამდგომლობა ჩვენი ოფიციალურ დაწესებულებათ ახალი ლტოლვილების გადმოყვანის შესახებ ეხლა დაბრკოლებას პოულობს იმ დაწესებულებებში, რომელნიც დღემდის ხელს გვიწყობდენ ამ საქმეში. რა მოხდა?

მას შემდეგ, რაც ემიგრაციის გამოსვლამ მასიური ხასიათი მიიღო, ცხადი გახდა, რომ ჩვენი საკუთარი საშვალებით ყველა იმათი გადმოყვანა საფრანგეთში და მათი რჩენა შეუძლებელი იყო. ამიტომ ზომები იქნა მიღებული, რომ სათანადო დაწესებულებანი დაგვხმარებოდენ. გვეხმარებოდენ საფრანგეთის მთავრობა, ნაციათა ლიგა, საერთაშორისო შრომის ბიურო და სხვ.—ზოგი სამუშაოს შოვნით, ზოგი სამგზავრო ფულით. მაგრამ გვეხმარებოდენ, რასაკვირველია, საერთო წესით ისე, როგორც ეხმარებიან რუსის, სომხის და სხვ. ლტოლვილებს. ესე იგი: კონტრაქტი მუშაობას შესახებ უნდა იქნას შესრულებული და გზის ფული ნაწილ ნაწილად დაბრუნებული, რომ შემდეგ ეს ფული ახალ ლტოლვილებს მოხმარდეს. ერთხანს საქმე კარგათ მიდიოდა და ლტოლვილების გადმოყვანის და მოწყობის საქმე გაადვილებული იყო. მაგრამ დროთა განმავლობაში აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ქართველი (უმრავლესობაზე, საბედნიეროთ. ეს არ ითქმის) გაურბოდა კონტრაქტის შესრულებას. გაწესებულ სამუშაოზე არ იცდიდა და, რაც უმთავრესია, ნაციათა ლიგის თუ ქარხნის ვალსაც არ იხდიდა; რაც დრო გადიოდა, ესეთ სამწუხარო მოვლენებს მეტი ადგილი ჰქონდა—მიუხედავათ ჩვენი ლეგაციის მრავალჯერ ჩარევისა და პირობის დამრღვევ ემიგრანტების გაფრთხილებისა.

ასეთ შემთხვევაში რუსის ემიგრაციას პოლიცია უკეთებს კონტროლს, რადგან ისინი «ნანსენის პასპორტით» ცხოვრობენ; ხოლო რადგანაც ამ მხრივ, საბედნიეროთ, ჩვენ უკეთეს პირობებში ვართ—გვაქვს ქართული პასპორტი და საკუთარი ოფიციალური წარმომადგენლობა, პოლიციის უშვალო ჩარევის მაგიერ ლეგაციას უგზავნიდენ ლტოლვილების მიერ გაცემულ ხელწერილებს და ამათ მიერ პირობის შესრულების შესახებაც ლეგაციას ენდობოდენ. პოლიციის მუდმივი კანტროლის ქვეშ ყოფნის მაგიერ აღნიშნული წესი გასახარი უნდა ყოფილიყო და საამაყოც ქართველი ემიგრანტის ეროვნულ თავმოყვარეობისათვის. სამწუხაროთ, ზოგმა ვერ გაიგო და ვერ დ»აფასა ასეთი წესი: მოგონებას ლეგაციის მხრივ და პირობის შესრულების მოთხოვნას ზოგი დიდის უკმაყოფილებით შეხვდა, ყურადღება არ მიაქცია, სხვადასხვა «მიზეზით» თავი დაიძვრინა.

ერთხელ და ორხელ მოტყუილებულმა ქარხნის პატრონებმა საჩივარი აღძრეს სამინისტროს წინაშე: ქართველი მუშები არ გვინდა, ისინი პირობას არ ასრულებენო (უდანაშაულოთაც სახელი გაუტყდა). ნაციათა ლიგამ უარი განაცხადა დახმარებაზე. ხოლო რადგანაც საფრანგეთში ლტოლვილებს მხოლოდ სამუშაო კონტრაკტით უშვებენ, სამინისტრომაც უარი განაცხადა ვიზის მოცემაზე ახალ ლტოლვილებისათვის. თუ ამას დაუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ სასტიკათ თვალყურს ადევნებენ ამ ბოლო დროს უცხოელთა ყოფაქცევას საფრანგათში, ადვილი წარმოსადგენია შექმნილი მდგომარეობა. საქმე გაფუჭდა, თუმცა ამაში ემიგრაციის დიდ უმრავლესობას არავითარი ბრალა არ უდევს. ამნაირად, ვინ იცის რამდენი ქართველი, ღირსი ყოველგვარ დახმარებისა, ვინც ყოველგვარ პირობას პირნათლად შეასრულებდა, თვეობით უცდის ახლა ვიზას ოსმალეთში. მათი წამოსაყვანი ფულიც რომ იყოს, ვიზის მიღება სჭირს. ზოგიერთის მიერ წახდენილი საქმე ესე სამინლად სჩაგრავს სხვებს—მრავალთ.

ჩვენ ვერ შევასრულებდით ჩვენს მოვალეობას, რომ ამ სამწუხარო მოვლენისათვის არ მიგვექცია ემიგრაციის ყურადღება. უპირველეს ყოვლისა ჩვენ მივმართავთ იმათ, ვისაც ეს პირდაპირ შეეხება: ჩაუკვირდენ მდგომარეობას და ნუ გახდებიან მიზეზი სხვებისთვის საქმის წახდენის, გაიხსენონ ის მდგომარეობა, რომელშიდაც თვითონ იმყოფებოდენ საზღვარზე გადმოსვლისას. იმავე მდგომარეობას განიცდიან ახლა სხვები, მისი თანამემამულენი და თანამებრძოლნი. ყველამ, ვინც კონტრაკტით არის მიღებული სამუშაოზე, აუცილებლათ უნდა შეასრულოს იგი, ვისზედაც არის დარჩენილი ვალი ქარხნის, ნაციათა ლიგის თუ ჩვენი მთავრობის (მთავრობისაგან სამგზავროდ ვალად აღებული ამავე ფონდში შედის) და სხვ. ახლავე უნდა დაიწყონ ნაწილ-ნაწილად ამ ვალის გადახდა; ამით იქნება კიდევ გამოსწორდეს მდგომარეობა, შეხედულება ჩვენს ლტოლვილებზე შეიცვალოს და ახალ ლტოლეილებს საშვალება აღმოუჩნდეს გადმოსაყვანად.

ჩვენ მივმართავთ ყველას, რათა გავლენა იქონიონ მათზე, ვინც გაურბის ნაკისრებ მოვალეობის შესრულებას და მით შეიძლება შეუგნებლად, საერთო საქმეს აფუჭებს. დანაშაულია დაბრკოლება მათი, ვინც ჩვენზე მეტ ხანს იწამა ჯოჯოხეთურ პირობებში და ახლა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენმასე პირობებში ჩაყენებას, პატიოსან შრომით თავის რჩენას შენატრის. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს ჩვენი მიმართვა არ დარჩება უნაყოფოდ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ ჩვენი

ოფიციალური დაწესებულებანი იძულებული გახდებიან ამცნონ მევალეთ, რომ ვერაფერს გახდენ და თვითონ იზრუნონ პირობის სისრულეში მოსაყვანად და ვალის გასანაღდებლათ. ისინი კი თავისას გაინაღდებენ—იძულებითი წესით, პოლიციის საშვალებით, რეპრესიებით. ეს იქნება დიდი სირცხვილი ჩვენთვის, მაგრამ ერთად-ერთი გამოსავალი შექმნილი მდომარეობიდან, რადგან წესების დარღვევას, ნაკისრებ მოვალეობიდან გაქცევას აქ არავის აპატიებენ ხოლმე. სულ სხვაა ავადმყოფთა და უმუშევართა მდგომარეობა, მაგრამ ასეთების რიცხვი, ძლიერ მცირეა. ეს გამოჩნდეება იმ სიიდგან, რომელსაც ჩვენ გამოვაქვეყნეთ, თუ ეს ჩვენი მიმართვა უშედეგოთ დარჩა, და მაშვინ ქართველი საზოგადოება, აქ და ჩვენში, თვითონ განსჯის, შეეძლოთ თუ არა ამ პირთ წლების განმავლობაში ნაკისრებ მოვალეობათა პირნათლად შესრულება, რომ არც საკუთარი და არც სხვისი საქმე არ გაეფუჭებიათ.

დასასრულ, ჩვენ მოვალეობათ მიგვაჩნია ერთხელ კიდევ გავაფრთხილოთ ჩვენი თანამემამულენი, რამდენათ იმათ ჩვენი ხმა საქართველოში მისწვდება, რომ ემიგრანტის მდგომარეობა მძიმეა და ადვილათ სამშობლოს ნურვინ სტოვებს; ნურვინ ფიქრობს რომ ადვილათ შესძლებს უცხოეთში თავის შენახვას. ემიგრანტობა—სასჯელია და ამ სასჯელს იგი არ უნდა დაერიდოს მხოლოდ, ვისაც შინ უარესი სასჯელი მოელის.

ქართველი ერის სული

როცა შაჰ აბაზმა საქართველო ააოხრა, ერთ სოფელში დაისვენა, სადილს შემდეგ საუცხოო ხილეულობა და გემოიანი ვაშლი მიირთვა. ვაშლი ისე იამა, რომ შუბის წვერით მიწა გაჩიჩქნა, ვაშლის თესლი მიწაში ჩაფლა: სანამ ეს თესლი არ ამოვა, გაიზრდება და ამისთანა გემოიან ვაშლს არ გამოისხამს, მანამ ამ მშვენიერ ქვეყნიდან მე წამსვლელი არა ვარო!

გავიდა დრო და შაჰ აბაზი იძულებული შეიქნა საქართველო დაეტოვებია... წასვლისას მრავალი ქართველობა ირანის უდაბნოში გადარეკა... როცა სამშობლოს დანატრულნი ტყვეობაში კვდებოდენ, მშობლები შვილებს ანდერძათ აბარებდენ: ქარი რომ სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ ქროდეს, დედა სამშობლოს მოკითხვა შეუთვალეთ, ქარი ჩვენს ამბავს იქაურ ძმებს მიუტანს, ჩვენი ქვეყანა იქით არისო!

გავიდა დრო, საქართველომ კვლავ მრავალი აოხრება და წამება გამოიარა... შაჰ აბაზის მიერ გატაცებული ქართველობა სრულიად მოწყდა მის სამშობლოს, მისი არსებობა საზღაპრო შეიქნა...

ბოლოს ჩვენ აგვაოხრა მოყვრათ მოწვეულმა რუსობამ და საუკეთესო მამულისშვილნი დაგვიხოცა, რჩეულნი რუსეთის ცივ ქვეყანაში წარგვტაცა!

თუ სპარსეთიდან ქართველის სული ნიავით მოქროლავდა, მათ არსებობას ქარი გვამცნევდა, რუსეთში გატაცებულნი სამშობლოს დანატრულნი მოღვაწენი დრო გამოშვებით მოყვას-ნათესავებს თბილ და მგრძნობიარე წერილებს წერდენ, სამშობლოში ობლათ დარჩენილთ მომავლის იმედით ამხნევებდენ, მრავალი მათგანი სულიერ და გონებრივ საზრდოს აწვდიდენ...იმ ბნელითმოცულ წამხდარ დროში, ახალი გზის ძებნაში, მათი იმედი, შემოძახეია, მანათობელ ვარსკვლავათ ევლინებოდა ქართველობას...

ჩვენ კვლავ დავახწიეთ ტყვეობას თავი... რუსეთი კვლავ შემოგვესია, აგვაოხრა... ერის შვილები ჯურღმულებში აწამა...

მარა, როგორც შაჰ აბაზმა და მრავალმა მტარვალმა ვერ ჩააქრეს ქართველი ერის სული, ისე ვერ ჩაკლეს ჩვენ ერში დღესაც თავისუფლების მისწრაფება, სამშობლოს სიყვარული...

თუ რა ძლიერათ ღვივის ქართველი ერის გულში სამშობლოს სიყვარული და რა სულიერი განწყობილებაა ახლა ჩვენში, ამას ამოწმებს დედა სამშობლოდან გამოგზავნილი წერილი ერთ ახალგაზდასთან ევროპაში.

ოჯახურ ამბების შემდეგ უცნობი სწერს:

«... ასე, ჩემო ძამიკო, იყავი კარგათ, გულს ნუ გაიტეხთ, რომ თქვენ შორსა ხართ სამშობლოდან და თქვენი ერისაგან, მშობლების და ნათესავებისა. გან. რა დიდი ხანიც არ უნდა იყოს გასული, ყოველთვის დიდი აღფრთოვანებით შეგხვდებათ თქვენი ერი, გულზე მიგიხუტებთ თქვენი მშობელი და სიამოვნებით მიგიღებთ სამშობლო. შესაძლებელია თქვენ ბედმა უფრო კარგი ხვედრი გარგუნათ, თქვენ იმყოფებით იქ, სადაც მთავარი წყაროა ცოდნის და მეცნიერების, სადაც ყოველი ახალგაზდის სული მიისწრაფვის ცოდნის შესაძენათ, მაგრამ სხვადასხვა, მრავალი გარდაუვალი დაბრკოლებათა გამო ვერ აღწევს ამ მიზანს. თქვენ კი ეს დაბრკოლება უკვე გადალახული გაქვთ და იმყოფებით მანდ, გეჭირდებათ მხოლოდ ამ შემთხვევაში დროის სარგებლობა და კარგათ გამოყენება. მე ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ ეგ დრო კარგათ გამოიყენეთ და გამოიყენებთ კვლავ. მრწამს, რომ დაბრუნდებით ცოდნით აღჭურვილი, ღირსეული ახალგაზდა, გაამართლებთ თქვენი ერის იმედს, ღირსეულად შეასრულებთ მოვალეობას და სახელოვნათ გააკეთებთ სამშობლოს დავალებებს. გისურვებთ ყოველივე კარგს, მშვიდობას, ჯანმრთელობას და სიცოცხლეს მრავალჟამიერ. ჩემო ძამიკო, მინდა გავათავო წერილის წერა, რომ ჩემი წერილის კითხვით თავი არ მოგაბეზროთ, მაგრამ ხელი მაინც არ მემორჩილება, მაინც სწერს, მე თვითონ არ ვიცი რას, ამ წერილით გართულს მგონია ჩემი თავიც პარიზში. ძალიან მაინტერესებს მანდაური უნივერსიტეტები, ეხლა როგორი პირობებია, ან და აქედან უმაღლეს სწავლა დამთავრებული, ჩამოსული მანდ თუ მოეწყობა მოკლე ხანში კარგ ადგილებზე.

იმედია თქვენს ნაცნობებს არ დაივიწყებთ, წერილით ყოველთვის გაგვიხსენებთ».

თქვენი პატივისმცემელი Z.

კითხულობ ამ უბრალოთ დაწერილ წერილს და გული სიამით გევსებათ, გონება გინათლდებათ, იმედი გიორკეცდებათ! იქ, ჯოჯოხეთად ქცეულ პირო-

ბებში ასეთი წერილი იწერება, ასე საღათ მსჯელობენ და გიკვირთ...

მარა არა, აქ საკვირველი არაფერია, აქ ნაცნობი ქართველი ერის სულია!

ასე იყო ძველად, ასეა დღესაც. დეე, ევროპაში გადმოხვეწილმა ახალგაზდობამ გაამართლოს სანახევროთ მაინც სამშობლოს იმედები... მე ეს მწამს, იქაური ახალგაზდობა არ ცდება...

ვლასა მგელაძე.

„დნი" და ეროვნული საკითხი

ამას წინად კერენსკიმ გააკეთა პარიზში მოხსენება: «კოლექტივიზაცია: პოლიტიკური დასკვნები».

მოხსენების გაოშემო გაიმართა კამათი. კოლექტივიზაცია ყველას დაავიწყდა. კამათი გადიშალა მხოლოდ ეროვნული საკითხის ირგვლივ. ჩვენი მკითმველისთვის მეტად საინტერესოა რუსეთის ზოგიერთ წრეების აზრი ეროვნულ საკითხზე, განსაკუთრებით იმ წრეების, რომლებიც სოციალისტურ სამოსელით გვევლინებიან.

მოგვყავს კამათის ანგარიშის დამახასიათებელი ადგილები «დნი»-დან.

ა. ბ. მარკოვი სასტიკი წინააღმდეგია პატარა ერების განთავისუფლების, ის განსაკუთრებული ენერგიით ილაშქრებს უკრაინის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ეკონომიური მოსაზრებით მას ეს დამოუკიდებლობა ყოვლად შეუძლებლათ მიაჩნია.

ი. ა. ფიშერი: ორ პარალელურ პროცესს აქვს დღეს ადგილი საბჭოთა სამეფოში: ერთის მხრივ ძლიერდება კომუნისტურ პარტიის ადმინისტრატიული ცენტრალიზმი და მეორე მხრივ ღრმავდება ეროვნებათა მოძრაობა და ამ მოძრაობაზე დამყარებული ნაციონალურ-კულტურული თავისებურობა. ამიტომ სოციალისტურ და დემოკრატიულ ემიგრაციის მოვალეობაა გულწრფელი თანაგრძნობით მოეკიდოს სხვა და სხვა ეროვნებათა მისწრაფებებს ნაციონალურ-კულტურულ დამოუკიდებლობისაკენ და მეორეს მხრივ შეებრძოლოს ბოლშევიკურ ცენტრალიზმს. ორი წლის უკან «დნის» კრებებზე, როდესაც ირჩევოდა ეროვნული საკითხი, ჩვენ ვხედავდით რუსეთის ყველა ეროვნებათა წარმომადგენლებს. დღეს ისინი აქ არ არიან. რატომ? ცხადია, იმიტომ რომ მაშინ აქ არ შეიქნა ისეთი ფსიქოლოგიური ატმოსფერა, სადაც ყველა თანასწორათ გრძნობს თავს. უნდა აღვადგინოთ ურთიერთ ნდობა სხვა და სხვა დემოკრატიულ ინტელიგენციაში. ეს ინიციატივა უნდა ავიღოთ ჩვენ. და ეს ინიციატივა გამოძახილს ჰპოვებს, თუ ჩვენ აშკარა სიმპატიით მოვეპყრობით ნაციონალურ მისწრაფებებს, თუ ვსცნობთ გულახდილათ და გადაჭრით ყველა ერთა თანასწორ უფლებიანობას—მოაწყოს თავის ბედი ისე, როგორც მას სურს.

სტ. ივანოვიჩი. უნდა უკუვაგდოთ «ისტორიული უფლებები» და ვიცნოთ ეროვნულ მისწრაფებათა სამართლიანობა და კანონიერება. «ისტორიულ უფლებათა» ფსიქოლოგია ვერ ეგუება დემოკრატიის მორალურ საფუძვლებს და წინ ეღობება ყოველსავე პოლიტიკურ და სოციალურ პროგრესს.

ს. ბ. სოლოვეიჩიკი. არ ეთანხმება ბ. ბ. ივანოვიჩს და ფიშერს. მას შეუძლებლათ მიაჩნია განყენებული პრინციპის (ერის თვითგამორკვევა) ხელალებით გატარება პრაქტიკულ სინამდვილეში. ამ მუხლში, მისი აზრით, სოციალისტურ თეორიას რევიზია ესაჭიროება.

ა. ფ. კერენსკი. ბ. კერენსკი თავის გრძელ საბოლოო სიტყვაში დორბლებით ტუჩებზე თავს ესხმის პატარა ერთა განთავისუფლების მოტრფიალეთ. «რუსეთიდან—ველიკოროსიიდან საუკუნოებით იწურებოდა ყოველივე წვენი ნოვოროსიაში და სხვა განაპირა ქვეყნებში კულტურის შექმნის მიზნისათვის. და მართლაც რუსეთი არ ყოფილა მხოლოთ «ხალხთა საპყრობილე».

მთავრობა, მისი შეცდომები და დანაშაულობანი—ერთია. მაგრამ მასთან იყო კიდევ შემოქმედება ხალხის, ხალხებისა, რომლებმაც შექმნეს ერთად ახალი სახელმწიფო კულტურა. ეს კულტურა რუსეთს მიქონდა განაპირა ადგილებში,—კავკასიაში და აზიის შუაგულში. ცივილიზატორული კულტურა, განმანათლებელი მუშაობა რუსეთის,—და ამ მუშაობაში წილი უდევთ ველიკოროსებს, უკრაინელებს, ქართველებს, ებრაელებს და სომხებს,—თამამათ შეედრება ევროპის მიღწევებს კოლონიალურ ქვეყნებში. შეადარეთ თურქესტანი ინდოეთს. თურქესტანში სახელმწიფო-შემოქმედებითი მუშაობა უფრო საღ საფუძვლებზე იყო აგებული, ვინემ ეს ინდოეთშია. და მე ვფიქრობ, რომ ინგლისელებს და კერძოთ მაკდონალდის მთავრობას აქვს უფლება დარჩეს ინდოეთში, რადგან ინგლისელების წასვლა ინდოეთიდან მომასწავებელი იქნება არა მარტო ინგლისის იმპერიის დამხობის...

სტ. ივანოვიჩი. და მაინც წავლენ.

ა. ფ. კერენსკი: წავლენ და მაშინ ინდოეთი ხელახლათ დაიყოფა 600 ურთიერთ მტრულათ განწყობილ სახელმწიფოთ. ეს უდიდესი ნაბიჯი იქნება უკან არა მარტო ბრიტანეთის იმპერიისათვის, არამედ მთელი კულტურულ კაცობრიობისათვის. მე არა ერთხელ მითქვამს, რომ კაცობრიობა მიდის გაერთიანებისაკენ და არა დანაწილებისაკენ. სოციალიზმი, როგორც ქრისტიანიზმი, ისე როგორც ყველა დიადი შემოქმედებითი სოციალური იდეები, თავისთავად უნივერსალური და იმპერიალისტურია. ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს იმ რეაქციონურ ლეგენდას, თითქოს მთელი ნაციონალური პოლიტიკა ყოველივე სოციალისტის და დემოკრატის უნდა იყოს მიმართული პატარა ერების ცალმხრივი თვითგამორკვევის,—სრულ გამოყოფამდე—, დაცვა-წაქეზებისაკენ. დასავლეთში დღეს უკვე იციან სახელმწიფოს ასეთი დამნაწილებელი ნაციონალიზმის მავნებლობა.

როდესაც ევროპა ზე-ევროპის შექმნისაკენ ისწრაფვის, ჩვენ ველაპარაკებიან, დავბრუნდეთ მოსკოვის საზღვრებში. მე ეს არ მსურს, მე ეს არ შემიძლია. არა იმიტომ, რომ მე კაცი ვარ არა ველიკოროსული, არამედ სრულიად რუსული შეგნების,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ კიდევ იმიტომ, რომ მე ევროპიელი ვარ, რომ მე სოციალისტი ვარ და მაქვს ჩემი იდეა ჩვენ ინტერნაციონალურ მოვალეობის.

ასე «სოციალისტურათ» მოთქვამს ბ. კერენსკი.

საბედნიეროთ კერენსკის «სოციალიზმს» არაფერი საეოთო არ აქვს ჭეშმარიტ სოციალიზმთან, რომლის დროშაზე აწერია სრულყოფილი პიროვნება სრულყოფილ ერში, სრულყოფილი ერი სრულყოფილ კაცობრიობაში.

ბ. კერენსკიმ რაც უნდა იყვიროს, ერები მაინც განთავისუფლდებიან, რადგან არვის ძალუძს თავისუფალი ეროვნული სულის ხუნდებში სამუდამოთ ჩაჭედა.

26 მაისი

პარიზში.

პარიზში იყო გამართული დარბაზობა, რომელზედაც ქართველთა ასოციაციის თავმჯდომარე ბ. სხირტლაძე მიესალმა უცხო სტუმრებს და ქართველებს კი მიულოცა დღესასწაული. იყო საკონცერტო ნაწილი, ევროპიული და ქართული ცეკვა. სტუმრები მიწვეულ იქნენ ბუფეტზე.

ბერლინში.

ბერლინში მყოფ ქართველობამ ზეიმით გადაიხადა ჩვენი ქვეყნის განახლების დღე 26 მაისი.

საზეიმო სხდომა მოწვეულ იყო საქ. წარმომადგენელის ბ-ნ ლ. ახმეტელის მიერ. დაესწრო თითქმის აქ მყოფი ყველა ქართველობა, მეზობელ რესპუბლიკ. აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენელნი და მრავალი გერმანელი, მათ შორის ბ-ნ ედვ. ბერშტაინი, ქართველების გულწრფელი და ერთგული მეგობარი, რაიხსტაგის და გერმ. ს. დ. პარტიის ცნობილი მოღვაწე შეიდმანი; საქართვ. დამფ. კრების ყოფილი გერმანელი წევრი ბ-ნი ერიკ ბერნშტაინი, ბერლინის ერთ ერთ უბნის თვითმართველობის პასუხის მგებელი მოღვაწენი და სხვები. დარბაზი მორთულია სურათებით და ეროვნ. დროშებით. კრებას ხსნის ლ. ახმეტელი მოკლე სიტყვით, რომლის შემდეგ კრება ასრულებს «დიდებას». კოლონიის თავმჯდომარე მ. წულუკიძე გერმანულ ენაზედ მოკლე და შინაარსიან მოხსენებაში აცნობს დამსწრე სტუმრებს ჩვენი ქვეყნის ისტორიას.

თავისებურ მჭერმეტყველებით და კეთილ გრძნობა სურვილებით სავსე სიტყვით მიმართავს კრებას ბ-ნი შეიდმანი. ბოდიშს იხდის გერმანიის ს. დ. პარტიის თავმჯდომარის ველსის და ბერლინის ორგანიზაციების თავმჯ. კიუნსტლერის სახელით, რომ მიუხედავათ მათი სურვილისა ვერ ესწრებიან ქართველების დღესასწაულს და ესალმება კრებას თავისი და მათი სახელით, აღნიშნავს იმ სიხარულის განცდას, რომელიც ამ 12 წლის წინათ საქართ. დემოკრ. რესპუბლიკის გამოცხადებამ გამოიწვია მათში, და კარგად გვახსოვს ისიც, ამბობს შემდეგ: თუ რანაირი აღშფოთება გამოიწვია მოსკოვის ვერაგულმა ბოროტმოქმედებამ თქვენს მიმართ. ვიცით იმ აუარებელი სისხლის ღვრისა და ხოცვა ჟლეტის ამბები, რომელსაც მოსკოვის ჯარები და აგენტები დღემდის განაგრძობენ თქვენს ქვეყანაში; მთელი მოწინავე კაცობრიობის თანაგრძნობა თქვენთან არის. თქვენც კარგად იცით, რომ ბოლშევიზმის ბოროტებით არა მარტო თქვენ და საბჭოთა კავშირში მომწყვდეული ხალხები იტანჯებიან, არამედ ჩვენც 65 მილიონიან გერმანელი ერიც—ვიტანჯებით. ყველასათვის ნათელია, თუ რას ნიშნავს ბოლშევიზმი გერმანიისათვის, ეს მისი მუშათა კლასის სხეულში ღრმათ ჩარჭობილი ისარია; რომელიც სთიშავს და მის საგრძნობ ნაწილს სწამლავს და ეს გარემოება აორკეცებს ჩვენს სიმპატიებს თქვენი ბრძოლისადმი.

შეიდმანმა ასე დაათავა თავისი სიტყვა:

მე ღრმათ დარწმუნებული ვარ საქართველოს განთავისუფლებაში და მას თქვენთან ერთათ ჩვენც უღრმესი სიხარულითა და ზეიმით ვიდღესასწაულებთ!

კრებამ დიდი ოვაციები გაუმართა ბ-ნ შეიდმანს.

შემდეგ ლაპარაკობს აზერბაიჯანის წარმომადგენელი, რომელიც მიესალმება რა საქართველოს ძვირფას დღეს 26 მაისს, აღნიშნავს კავკასიის ერების მთლიანობა შეთანხმების აუცილებლობას მტრის წინაამდეგ და ხაზი გაუსვა საქართველოს მოწინავეობას კავკასიის ერებში.

ილაპარაკა ბ-ნმა ერიკ ბერშტეინმა, რომელიც მოუწოდებდა კავკასიის ერებს მთლიანობისა და სიმტკიცისათვის.

წაკითხულ იქნა ნ. იმნაიშვილის მიერ გერმანულათ ნათარგმნი—ნ. ყორდანიას «26 მაისი», წერილი «დამოუკიდებელი საქართველო»-დან.

ბ-ნი მიხეილ ყაუხჩიშვილი მიესალმა ედვ. ბერნშტაინს. უკანასკნელმა თავის საპასუხო სიტყვაში სხვათა შორის სთქვა: რაც შეეხება თქვენს ბრძოლას, როგორც ამხ. შეიდმანმა აღნიშნა და მეც არა ერთხელ მითქვამს, სავსებით სამართლიანია. მე სიკვდილამდის თქვენი თანამგრძნობი ვიქნები და დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ქვეყნის შეგნებული ნაწილი ბოლომდის თქვენი თანამგრძნობი და დამხმარე იქნება.

გ. კერესელიძე მადლობით მიმართავს შეიდმანს, რომელმაც საუკეთესოდ შეაერთა თავის მოღვაწეობაში სოციალიზმი და ეროვნული სიყვარული.

დასასრულ ბ-ნი ახმეტელი მადლობას უცხადებს სტუმრებს და იმედს გამოსთქვამს, რომ მალე გვექნება შესაძლებლობა ეს ძვირფასი დღე სხვა პირობებში ვიდღესასწაულოთ და ჩვენ სტუმრებს მათი თბილი თანაგრძნობა სხვა პატივით გადაუხადოთ.

დამსწრე.

საბჭოთა რუსეთში

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

— პეტროგრადის მხარეში შექნეს საგანაპირო ზონა, რამაც უნდა გამოაცალკევოს საბჭოთა კავშირი ბურჟუაზიულ მსოფლიოდან, ზონაში ჩასახლებულ იქნებიან მხოლოდ კომუნისტები და ჩეკისტები. იქაური მცხოვრებნი კი უნდა გადასახლდენ ში-

და რუსეთში. ასეთივე ზონები უნდა შეიქნეს შავი ზღისა და სხვა მხარეებში. ზონაში შესვლა გარეშებს შეეძლებათ მხოლოდ საგანგებო ნებართვით.

— სინდიკატების გენერალურ საბჭოში შევიდა მუშების საჩივარი, რომ ისინ მეტად დატვირთულნი არიან. სხვადასხვა გადასახადებით პარტიული დაწესებულებების სასარგებლოთ. გენერალურმა საბჭომ მოახდინა ანკეტა და გამოირკვა, რომ მუშებს იმ გადასახადეის, რომელიც მათ ნებაყოფლობით უნდა გადაიხადონ. ძალათ ახდევინებენ და ეს გადასახადი შეადგენს საერთოდ 30-40 პროც. მათი შემოსავლისას და ზოგიერთ შემთხვევაში 50 პროცენტსაც, გარდა გადასახადებისა, თვითეულმა მუშამ უნდა იმუშაოს მუქთად სხვადასხვა დღეებისათვის—«წითელი დღე», «ინდუსტრიალიზაცია» და სხვ. ორი თვე წელიწადში.

— მოსკოვში შედგა სპეციალური კომისია განათლების კომისარიატის, სამხედრო კომისარიატის და კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელთაგან. კომისიის მიზანია გამოიმუშავოს საბჭოთა სკოლის სრული მილიტარიზაციის პროგრამა.

— მოსკოვში ჩავიდა ცნობილი ირლანდიელი კომუნისტი ფლარგერტი. ჩასვლისათანავე ფლარგერტრი დაინიშნა ინტერნაციონალურ პროპაგანდის შეფათ. ის დაუყონებლივ შეუდგა ირლანდიულ ენაზე ჟურნალის გამოცემას. ჟურნალი არალეგალურად გაიგზავნება ირლანდიაში. მეორე ჟურნალი მისივე ხელმძღვანელობით გამოიცემა ოდესაში ბერძენ მეზღვაურთა შორის გასავრცელებლათ.

— ათასობით უსახლკარო ბავშები დაეხეტებიან დიდი ქალაქების ქუჩებზე და შიშის ზარს სცემენ მცხოვრებლებს ცარცშა გლეჯით და სხვა ძალადობით. ოთხი წელიწადია საბჭოთა ხელისუფლებამ დაისახა საგანგებო მიზნათ უსახლკარო ბავშთა საკითხის მოგვარება. მაგრამ დღემდის მდგომარეობა თუ უარესდება, თორემ არ უმჯობესდება. მთავრობამ შექნა ბავშების მონადირეთა სპეციალური რაზმები. ეს რაზმები ძალების დახმარებით დასდევენ ბავშებს ქუჩებში. სამი დღის განმავლობაში, როგორც «პრავდა» იტყობინება, მოსკოვში და მის ახლო-მახლო დაუჭერიათ 900 ბავშვი. გაზეთი ურჩევს მთავრობას ბავშები გადაგზავნოს შორეულ პროვინციებში, რადგან ისინი ქურდობით და ყაჩაღობით ტეროროს ქვეშ ამყოფებენ ქალაქებს.

— გახშირდა თავდასხმა სტალინის მომხრეებზე. მოჰკლეს მურავიოვი კავალერიის მეათე ბრიგადის კომანდირი. მკვლელი მიიმალა.

— კომუნისტურ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ცირკულიარი დაუგზავნა ყველა გაზეთებს, სადაც მათ კატეგორიულათ ეკრძალებათ კომუნისტებზე თავდასხმის შესახებ რაიმე ცნობა მოათავსონ, რადგან ამ ცნობებს დემორალიზაცია შეაქვს მასებშიო.

— განახლდა სარწმუნოების დევნა გაორკეცებული სისატიკით. ტობოლსკში დახურეს 17 ეკლესია. ზოგი ეკლესია გადააკეთეს ციხეებათ.

საქართველოდან

«ამა წლის თებერვალ-მარტში დიდი მასიური მოძრაობა დაიწყო მთელს საქართველოში, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში. ამ მოძრაობის მთავარი მიზეზი იყო კოლექტივიზაციის ძალით გატარება და კოოპერატივების მიეო მოსახლეობისათვის საქონლის მიწოდების შეწყვეტა. გამოსვლებმა პირდაპირ აჯანყების ხასიათი მიიღო. მაგ. ხონის, ბაღდადის, სამტრედიის, სამეგრელოს, გურიის და განსაკუთრებით რაჭა-ლეჩხუმის რაიონებში. ჩეკის საგანგებო რაზმებთან შეტაკებაში ბევრია დახოცილი ორივე მხრივ. მეტად სისხლის მღვრელი შეტაკებები მოხდა დიდი-ჯიხაიშის და ვანის რაიონებში. ეს მოძრაობა მოედო აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებს, სადაც პარტიზანული რაზმები დღესაც მოქმედებენ. აღსანიშნავია, რომ ქართულ ჯარის ნაწილებმა უარი განაცხადეს ხალხის წინააღმდეგ გამოსვლაზე, რის გამო დაშალეს ორი ქართული პოლკი, ხოლო საერთოდ ქართული ნაწილები გადაიყვანეს ადერბეიჯანში.

ამუშავდა ჩეკის აპარატი, მასსიური ხვრეტა ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. მთელი საქართველო დღეს საომარ ბანაკს წარმოადგენს და ის თავის ხასიათით 1924 წლის აჯანყებას მოგვაგონებს.

აივსო ციხეები დატუსაღებულ გლეხობით, მუშებით და მოწაფე ახალგაზდობით. 1500 ტყვე სასწრაფოთ გადაგზავნეს მოსკოვში, შემდეგ რა ბედი ეწევათ არ ვიცით. ხალხში დიდი ნერვიულობაა—მოთმინების ფიალა აივსო და ძნელია იმის თქმა, თუ ეს მასიური აღშფოთება რა ფორმებს მიიღებს. მთელ დასავლეთ საქართველოში საალყო წესებია გამოცხადებული.

(«ბრ. ხმა» № 7)

უკრაინელთა შორის

კიევს სასწრაფოთ ამაგრებენ. დასავლეთის მხრივ აღადგინეს ძველი სიმაგრენი და აშენებენ ახლებს. მუშაობას ხელმძღვანელობენ უცხოელი ინჟინრები. კიევის ირგლივ 20 კილომეტრის მანძილზე აჭრეს ტყე. ამუშავებენ შიდა რუსეთიდან ჩამოყვანილ მუშებს. ადგილობრივ მუშებს არ ენდობიან.

— ამზადებენ ახალ პროცესს უკრაინელ პატრიოტთა, რომელნიც დაატყვევეს (25 კაცი) ადესაში. მათ ბრალდებათ უკრაინის დამოუკიდებლობისათვის მუშაობა.

— უკრაინის ერთ-ერთ რაიონში, «კოლხოზების» საკანტროლო ცნობით, კოლექტივიზაციით უკმაყოფილო გლეხები გაიშიშვლეს და «გაროზგეს». ამათ შორის იყო 15 ქალი. «დაროზგვილები» მთელი ღამე ბოსელში იყვნენ დამწყვდეული.

— თესვის საქმე უკრაინაში ძლიერ ცუდათ არის: პური არ არის დათესილი 30 პროც., ჭარხალი კი—3 პროც. არ აღწევს.

— მოსკოვის ბრძანებით უკრაინის ხელისუფლებამ მობილიზაცია უყო 15. 000, კოლექტივიზაციით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსახლკაროთ დარჩენილ გლეხს და გაგზავნა დონის მაღაროებში სამუშაოდ.

— უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ცირკულიარი დაუგზავნა ყველა სარაიონო კომიტეტებს, სადაც წინადადება ეძლევა პარტიულებს, მიიღონ ზომები უკრაინელ ემიგრანტთა შორის პროპაგანდის გასაძლიერებლათ. დემორალიზაციის შესატანათ. მუშაობამ უნდა იწარმოვოს როგორც ევროპაში, ასე კანადაში.

ქ. მიურატის მოხსენება ჟენევაში

საქართველოს დამხმარე შვეიცარიის საერთაშორისო კომიტეტმა მიიპატიჟა ქ-ნი მიურატისა მოხსენების გასაკეთებლად საქართველოს შესახებ ჟენევაში.

მოხსენება გაიმართა 29 მაისს, ბატ. ჟან მარტენის თავმჯდომარეობით—ხსენებულ კომიტეტის თავმჯდომარეა. მოხსენებას აუარებელი ხალხი დაესწრო, დარბაზში ტევა არ იყო და დიდძალი საზოგადოება იძულებული იყო უკან გაბრუნებულიყო. მოხსენების შინაარსი ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ჩვენი გაზეთის თებერვლის ნომერში. როდესაც ქალბატონ მიურატისამ ეს მოხსენება «ოქროს ვერძის ქვეყანაში» პირველათ წაიკითხა პარიზში. მოხსენებას თან ახლდა ბუნდოვანი სურათები, მეტათ საინტერესოთ შერჩეული საქართველოს ყველა დარგის ცხოვრებიდან.

დამსწრე საზოგადოებამ დიდის ყურადღებით მოისმინა ქ-ნ მიურატის მოხსენება და შვეიცარიის და განსაკუთრებით ჟენევის გაზეთებმა მოათავსეს ქ-ნ მიურატის საინტერესო მოხსენების შინაარსი თავის ფურცლებზე.

ქ-ნ მიურატისა შემოდგომისათვის მოწვეული არის ლოზანაში ასეთივე მოხსენების წასაკითხავათ.

ბ. ძენეს მოხსენება პარიზში

საქართველოს დამხმარე საზოგადოების «Amis de la Georgie» ს გამგეობამ პარიზში გამართა თორმეტ ივნისს საგეოგრაფიო საზოგადოების დარბაზში მოხსენება საქართველოს ეკლესიის შესახებ.

მოხსენება გააკეთა ბ-ნ შანუან ქენემ ამავე საზოგადოების გამგეობის წევრმა. მოხსენების საგანი იყო: «ქრისტიანობა და რელიგიური ხელოვნება საქართველოში».

მომხსენებელმა მოკლეთ და მჭერმეტყველურად გააცნო საზოგადოებას ქრისტიანობის წარმოშობა, საეკლესიო მხატვრობის და არქიტექტურის განვითარება საქართველოში. საეკლესიო მხატვრობის და არქიტეკტურის ორიგინალობა მომხსენებელმა მიაწერა ერთის მხრით ქართველ ხალხის ბუნებას და მეორეს მხრით საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას—აღმოსავლეთ და დასავლეთ ხალხთა შორის ყოფნას. მოხსენებას თან ახლდა პროექექცია სურათებისა საქართველოს ეკლესიების და საეკლესიო მხატვრობის. მომხსენებელი ყოველ ცალკე სურათს აძლევდა ახსნაგანმარტებას, რომელმაც ძალიან საინტერესო გახადა თვით მოხსენება და ამავე დროს დამსწრეთ გადაუშალა თვალწინ ყველა უმთავრესი მომენტები საქართველოს საეკლესიო არქიტეკტურის და მხატრობის განვითარებისა.

მომხსენებელს თითქმის არ დაუტოვებია არც ერთი ღირშესანიშნავი ეპოქა საქართველოს ეკლესიის ისტორიისა: წმინდა ნინო, დავით აღმშენებელი, თამარ მეფე, გელათი და მისი აკადემია, საქართველოს ავტოკეფალიის გაუქმება, სინოდის მიერ დანიშნულ ექსარხოსების რუსიფიკატორული პოლიტიკა საქართველოს ეკლესსის მიმართ, საქართველოს სამღვდელოების ბრძოლა ავტოკეფალიისათვის, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოდან, წითელი მოსკოვის შემოჭრა საქართველოში, ქათოლიკოს ამბროსის თავდადებული ბრძოლა და დღევანდელი განადგურებული მოსკოვის მიერ საქართველოს ეკლესია.

დამსწრე მრავალფეროვან საზოგადოებამ დიდის ინტერესით მოისმინა მოხსენება და მხურვალე და ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა თვით მომხსენებელი.

ინ-ანი.

წერილი ხარბინიდან

22 მარტს გაიმართა აქ ქართული ტრადიციული ბალი, რომელსაც ხალხი ბლომათ დაესწრო. იყვნენ, სხვათა შორის, რამდენიმე კონსული და ადგილობრივი მაღალი ადმინისტრაციის მეთაურნი. საუკეთესო სასტუმრო «მოდერნის» დარბაზი ლამაზათ იყო მორთული, განსაკუთრებით დამსწრეთა ყურადღებას იპყრობდა ეგრეთ წოდებული «ქართული კუთხე», რომელიც თავის იშვიათი მორთულობით საუცხოვო სანახაობას წარმოადგენდა. ღრმა შთაბეჭდილება მოხდინა მაყურებლებზე პიანინოზე მხატვრულად შესრულებულმა ქალიშვილი ბოტოევის მიერ «სამშობლო» და «ქეთო და კოტემ». შემდეგ სიამოვნებით მოისმინეს რამდენიმე რომანსი, რომელიც იმღერა ახსაბაძემ ქართულად, რუსულად და ფრანგულად. მანვე ჩოხა-ახალუხში ძალიან ლამაზათ ითამაშა ლეკური. გამოვიდა აგრეთვე რამდენიმე ჩინებული რუსის არტისტიც. შემდეგ გაიმართა ბალეტი და ისევე ლეკური. საღამო, როგორც ეს აქ, მიღებულია, დამთავრდა ფოქსტროტით. ხალხი ძალიან კმაყოფილი დარჩა. დაიშალა მხოლოდ დილის 5 საათზე.

არ შეიძლება ხაზგასმით არ აღინიშნოს ბ. ივანე ხაინდრავას შრომა ამ საღამოს მოწესრიგებაში. მიუხედავათ იმისა, რომ ამ ბოლო დროს ცოტა არ იყოს სუსტათ გრძნობს თავს, ახლაც ჩვეულებრივი გატაცებით მეთაურობდა საღამოს მოწყობის საქმეს. მისი ინიციატივით მოწვეული იყო ამ საქმეში მონაწილეობის მისაღებათ ქართველი ახალგაზდობა.

27 აპრილს შესდგა ქართველთა საზოგადოების წლიური საერთო კრება. უწინარეს ყოვლისა კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება—ანგარიში, თუ რა გააკეთა მან მისი რწმუნებულობის განმავლობაში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ეს მოხსენებიდან აშკარათ სჩანდა, მას დიდი ღვაწლი გაუწევია საზოგადოების ცხოვრების ყოველ დარგში. გარდა მისი პირდაპირი დანიშნულებისა, როგორც აღმასრულებელი ორგანო ურთიერთ შორის დამხმარებელ საზოგადოებისა, გამგეობა სათანადო ყურადღებით ეგებებოდა ყოველ ეროვნულ მოთხოვნილებას, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო მისი არსებობის პირობებში. მოხსენების დამტკიცების შემდეგ კრებამ მოისმინა ბარამიძე ღლონტის დავა მიწის შესახებ, რომელიც ხანგრძლივი კამათის შემდეგ გათავდა ჰორიგებით. შემდეგ კრება გადავიდა არჩევნებზე. გამგეობაში არჩეულ იქნენ: ბ. ბ. ივ. ხაინდავა, ინჟინერი მაჩოშვილი, ცომაია, ხუნდაძე და თევზაძე. სამწუხაროთ, ბ-მა ხაინდრავამ, სისუსტისა და დაღლილობის გამო, უარი განაცხადა (რაც მას უკვე ჰქონდა განცხადებული არჩევნების წინეთ). მაგრამ, მიუხედავათ ამისა, იმედი გვაქვს, რომ ის ჩვეულებრივი ხალისით მიეგებება საზოგადოების თხოვნას.

კირ. კედია.

«დამოუკიდებელ საქართველოს» რედაქცია თავის გულითადს სამძიმარს უცხადებს ბ. გიორგი ერაძეს და მის ოჯახობას ერთად ერთი შვილის, ქალის პატარა შურას გარდაცვალების გამო.

გ. ჩხეიძის საფლავზე.

15 ივნისს, კარლო ჩხეიძის გარდაცვალების ოთხი წლის თავზე, პარიზში და მის მიდამოებში მცხოვრები ქართველები, რომელთა შორის იყვენ ყველა ქართულ ეროვნულ პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლები, შეიკრიბენ «პერ-ლაშეზის» სასაფლაოზე და ცოცხალი ყვავილებით მორთეს სახელოვანი მამულიშვილის საფლავი.

გრიშა ხოფერია

სტამბოლში ჭლექით, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გრიშა ხოფერია. განსვენებულმა გაათავა ჟენევის უნივერსიტეტი და 1917 წლიდან მხურვალე მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იყო სენაკის ქალაქის თავად და მერე საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი საექსპორტო ფირმებთან უცხოეთში.

განსვენებული მეტად სიმპატიური ადამიანი იყო, გულშემატკივარი, მგრძნობიერი, წმინდა ზნეობის და თავდაბალი. მისი უდროო გარდაცვალება გულწრფელად დაამწუხრებს ყველას, ვინც მას იცნობდა.

ალექსანდრე ესაკია

კიდევ ერთი მსხვერპლი! გასულ მაისს მძიმეთ დაშავდა მუშაობის დროს რკინის-გზაზედ და გარდაიცვალა ჯანით და ენერგიით აღსავსე ალექსანდრე ესაკია. ის იყო წარსულში ოფიცერი, ხოლო აქ ფიზიკურ შრომას ეწეოდა, ითვლებოდა უფროს მუშად თვით ფრანგთა შორის. განსვენებულს წვრილი ცოლ-შვილი დარჩა სამშობლოში.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგ ანგარიშს:

განსვენებულ გრიშა ხოფერიას დასახმარებლათ მიღებულია პარიზიდან ვასო წულაძის საშვალებით სულ 2.000 ფრანკი, რომელიც შემოსწირეს შემდეგმა პირებმა, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსი არიან:

გრ. ბერიძე 1.000 ფრ., ა. ხ. 500 ფრ., ს. მ. 200 ფრ., ნ. ერისთავი 100 ფრ., ე. გ. 100 ფრ., ჭლექ. დამხმარე საზოგადოება 100 ფრ. სულ 2.000 ფრანკი.

თურქულ ლირებზე გადახურდავებული შედგა სულ 165 ლირა და 30 პიასტრი.

დაიხარჯა: ავათმყოფობის დროს 108—45, დაკრძალვაზე 25 ლირა, გადახდილ იქნა გრ. ხოფერიას მიერ აღებული პირადი ვალი 32—85. სულ 166—30.

პ-ით ვ. ბორდელაძე და ს. ბოგიტაური.

რუსეთში გადასასლებულთა სასარგებლოთ

საქარ. სოც. დემ. პარტიის საზღვარ-გარეთ. ბიურომ მიიღო შემოწირულება გადასახლებულთათვის შეგროვილი ჩეხოსლოვაკიაში მყოფ ქართველებში (მარტის, აპრილის და მაისის) 485 ჩ. კრ.; წინა თვეებში შეგროვილი (რაც არ ყოფილა გამოცხადებული გაზეთში) 385 ჩ. კრ.—სულ 870 ჩ. კრ.

—

პარიზის სოც. დემოკ. კომიტეტმა მიიღო და გადასცა დანიშნულებისამებრ რუსეთში პოლიტიკურ გადასახლებულთა სასარგებლოთ 404 ფრ. 80 სანტ. შემდეგ ამხანაგთა შორის:

დ. ფერაძე 51 ფ. 95 სანტ., ლ. ბალანჩივაძე 50 ფ. 95 სანტ., ნ. ცინცაძე 50 ფრ., პ. სარჯველაძე 25 ფრ., ი. ქარსელაძე 20 ფრ., ვ. ტულუში 20 ფრ., ს. კეკელიძე 15 ფრანკი.

ათ-ათი ფრანკი: მ. მელუა, აკ. ვადაჭკორია, გ. ბოლქვაძე, აკ. მეფარიშვილი, მ. ვარდოიანი, მ. ვარდოიანისა, ალ. ბებურიშვილი, ელ. ბებურიშვილისა, შ. აბდუშელი, გრ. ცინცაძე, გრ. ბარამიძე, ს. მურმანიძე, ს. ჭყონია, კ. ბოკუჩავა. დ. ბუაჩიძე—გერ. ცეცხლაძე, ი. კუპრაძე. გ. გოდელაძე 5 ფ. სულ 407—80.

დასაბეჭდი წერილები, ფული და სხვა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r OURATADZÈ

10. rue Jules-Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)

France

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*. Le Gérant : A. LARGILLIÈRE.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაქუცა ჩოლოყაშვილი

რედაქციისაგან: «დამ. საქ.» მეორეი ნომერი უკვე დაბეჭდილი იყო, როცა მივიღეთ ფრიად სამწუხარო ამბავი ქაქ. ჩოლოყაშვილის გარდაცვალების. შემდეგ ნომერში დაიბეჭდება განსვენებულის ბიოგრაფია და სურათი.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ჩვენი ეროვნული გმირი, არა გვყავს! 26 ივნის ღამის 10 ნახ. საათზე შეწყდა მისი მაჯის ცემა. ქართველი ერი მწარეთ ამოიკვნესებს ამ ამბის გაგონებაზე.

ჩვეულმა ბრძოლებს, საშიშ შეტევებს, მამაც დახევებს სამშობლო მიწა-წყალზედ, მის მიუვალ კლდე-ღრეებში, უდაბურ ტყეებში, ქაქუცამ ვერ აიტანა უცხოეთში გახიზნულის ხვედრი, დადნა ვით სანთელი. თვით სნეულებაც, რომელსაც ის გადაყვა—ჭლექი, ომში მიღებულ ჭრილობაზედ აღმოცენდა. რა საზღაპრო გმირობა გვაჩვენა ქაქუცამ კიდევ ამ რამდენიმე თვის წინ, როცა მას გაუპეს მკერდი საოპერაციო ოთახში და მთელი საათნახევარი თვალხილული და სულგანაბული იტანდა საშინელ წამებას.

ჩვენი ქვეყნის უცხო ძალების მიერ დაკავებას ქაქუცამ პარტიზანული ომით უპასუხა, რომელიც გაგრძელდა ოთხი წელიწადი და შექმნა მთელი ეპოპეა, აღმოუფხვრელი ჩვენი ერის, მთელი კავკასიის, ხსოვნიდან.

მაგრამ ქაქუცას ჰქონდა ზეშთაგონებული პასუხისმგებლობის გრძნობაც. ის ერთხელაც არ მოწყვეტია ხალხის გულისთქმას, ზრახვებს. ამით აიხსნება მისი განუწყვეტელი კავშირი ქვეყნის მებრძოლ ძალებთან, მათი შეთანხმებული მოქმედება, რამაც მოგვცა ბოლოს 1924 წლის აჯანყება, რომლის სარდლად თვით ქაქუცა იქნა გამოცხადებული.

ეს იყო უმაღლესი ეროვნული აღტყინება და გამართლება ქაქუცას და მის თავდადებულ შეფიცულთა საგმირო საქმეთა, ხელუქმნელი ძეგლი აწ უკვე ისტორიულ ბელადისა სიმბოლო ქართველ ერის რაინდობისა და უტყუარი გამარჯვებისა.

ქაქუცამ თან ჩამოიტანა უცხოეთში ერთი ბეწო მშობლიური მიწა, მას ის გულს ეკიდა ავგაროზად, ჩათქმული მისი ცოლის, ქართველი დედის მიერ: წაიყარე და თავი საქართველოში იგულეო.

შეხეთ, რა წინაგრძნობა, რა წინდახედულებაა!

ჩვენ ვერ ჩავაკონებთ ქაქუცას ნაშთს მის წინაპართა სისხლით მორწყულ მთა-ველებს, სამაგიეროთ მის მიერ ჩამოტანილი მიწა წმინდა ფიცია, რომ დადგება დღე, როცა განთავისუფლებული და მადლიერი ერი აუსრულებს ქართველ დედას, მის ნორჩ შვილებს მათ გულის ნადებს, და საქართველოს დროშა შარავანდედად აფრიალდება სამშობლოში დაბრუნებულ მამულიშვილ ქაქუცას უკვდავ საფლავზედ.